



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ანუკი ლუაშვილი

რეგიონული უსაფრთხოების სისტემის ფორმირების საკითხი
კავკასიაში (კავკასიის სტაბილურობის პაქტი)

პოლიტიკის მეცნიერება

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია პოლიტიკის მეცნიერების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი:

ვალერიან დოლიძე PhD, ასოცირებული პროფესორი,

პოლიტიკურ მეცნიერებათა დეპარტამენტი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა

ფაკულტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2022

ანოტაცია

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომი ეხება სამხრეთ კავკასიის რეგიონალური უსაფრთხოების სისტემის ფორმირების მნიშვნელობას და რეგიონში არსებულ გეოპოლიტიკურ დაძაბულობას. სადაც უშუალოდაა ასახული, კავკასიის სტაბილურობის პაქტის - 3+3 პოლიტიკური პლატფორმის შემოთავაზების გამოკვლევა და მასში მონაწილეობისთვის განსაზღვრულ სახელმწიფოთა შორის არსებული ურთიერთობები, რაც მათ საგარეო თუ შიდა პოლიტიკური დღის წესრიგით უსაფრთხოების დარგში გააჩნიათ.

აგრეთვე კავკასიის სტაბილურობის პაქტის, პოლიტიკური პლატფორმის ქმედითუნარიანობის ასპექტებთან მიმართებით, გამოკვლეულია რეგიონალური უსაფრთხოების სისტემის ფორმირების პრობლემა, რეგიონში მოთამაშე ძირითადი აქტორების ინტერესები და გამოწვევები, რომელსაც ის სამხრეთ კავკასიაში აწყდება.

კვლევაში წარმოებული ანალიზით, მოხდა იმ ხელისშემშლელი ფაქტორების გამოვლენა, რომელიც სამხრეთ კავკასიის რეგიონალური უსაფრთხოების სისტემის შექმნას აფერხებს. აგრეთვე გამოვლინდა:

რეგიონში მყოფი ქვეყნების გეოპოლიტიკური ინტერესები და სახელმწიფოთშორისი სამეზობლო ვითარება;

საქართველოს სახელმწიფოს მხრიდან, რეგიონული სტაბილური გარემოს შენარჩუნებისთვის მიმართული სამეზობლო პოლიტიკა;

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრობლემები;

უსაფრთხოების დარგში მოქმედი რეგიონალური სისტემის ფორმირება;

კავკასიის სტაბილურობის პაქტის - 3+3 პლატფორმის მონაწილეობისთვის განსაზღვრული სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკური კურსი.

სამხედრო ჭრილში, სამაგისტრო ნაშრომი შეეხო რეგიონში მყოფ სახელმწიფოთა შორის არსებულ დაძაბულ შეიარაღებულ კონფლიქტებს, რომელმაც გავლენა მოახდინა რეგიონალურ სტაბილურობაზე და შეაფერხა სამხრეთ კავკასიის რეგიონში უსაფრთხოების სისტემის განვითარება.

Annotation

The Regional Security System's Formation Issue in the Caucasus (Stability Pact for the Caucasus)

This master's thesis reviews the importance of the formation of the South Caucasus regional security system and the geopolitical tensions in the region.

The paper directly reflects and investigates the Stability Pact for the Caucasus and its new 3+3 Regional Political Platform's proposal.

Also, in the security field and states' foreign or domestic political agenda, here was investigated the relations between the States which are defined to participate in the 3+3 regional platform,

In addition, through the Regional security challenges, according to the main political actors' interests and in the context of the regional security system formation, was researched the aspect of the effectiveness of the Stability Pact for the Caucasus (3+3 Regional Political Platform).

These were identified according to the analysis of the research and appeared as the obstructive factors, which hinder the establishment of a Regional Security System in the Caucasus.

Also, it was revealed:

Neighborhood situation between the states and their Geopolitical interests;

Neighborhood policy from the state of Georgia, which aims to maintain the stable regional security;

The problems of Georgia's territorial integrity;

Formation of a regional security system;

The foreign policy courses according to the States that are defined to participate in the 3+3 Regional Political Platform.

Also, the Master Thesis touched on military and tense political conflicts between the states, which have had an impact on regional stability and have hampered the development of a security system in the Caucasus Region.

სატიტულო ფურცელი -----	1
ანოტაცია -----	2
Annotation -----	4
სარჩევი -----	6
შესავალი -----	8
ლიტერატურული წყაროების მიმოხილვა -----	21
თავი 1. რეგიონის სახელმწიფოთა უსაფრთხოების პოლიტიკის პრიორიტეტები -----	30
1.1. უსაფრთხოების პრობლემები კავკასიაში და კავკასიის სტაბილურობის პაქტის იდეა 3+3 პლატფორმის ინიციატივის წარმოშობამდე -----	30
1.2. 3+3 პლატფორმა და პირველი შეხვედრები მოსკოვში -----	35
1.3. თბილისისა და მოსკოვის პოზიციები -----	40
1.4. თეირანის გეოპოლიტიკური გათვლები -----	48
თავი 2. კავკასიის სტაბილურობის პაქტი რეგიონალური უსაფრთხოებისა და გეოპოლიტიკური გამოწვევების კრილში -----	57
2.1 საქართველოს სახელმწიფო რეგიონალური უსაფრთხოებისა და 3+3 პოლიტიკური ფორმატის კონტექსტში -----	57
2.2. 3+3 პლატფორმა და საქართველოს სამეზობლო პოლიტიკა: ურთიერთობა რუსეთთან და კავკასიის სტაბილურობის პაქტის სხვა მხარდამჭერ სახელმწიფოებთან -----	68

2.3. 3+3 პლატფორმა და გეოპოლიტიკური ვითარება რეგიონში: მოკავშირე სახელმწიფოები და სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების ნორმალიზების ბოლოდროინდელი მცდელობები -----	81
დასკვნა -----	95
ბიბლიოგრაფია -----	98
სამადლობელი ფურცელი -----	112
Master's Thesis Title Page -----	113

შესავალი

კავკასიის რეგიონი დიდი მნიშვნელობის მქონე გეოპოლიტიკური მდებარეობით გამოირჩევა, მაგრამ აქ არსებული დაძაბული ვითარება არ იძლევა სტაბილურობის შენარჩუნების შესაძლებლობას, რაც ხელს უშლის გეოპოლიტიკური უპირატესობების სრულად გამოყენებას. პოლიტიკურ ვითარებას რეგიონში ამძიმებს აქ წარმოდგენილი სახელმწიფოების დაპირისპირებები, რომელიც მნიშვნელოვნად ამუხრუჭებს გაყინულ კონფლიქტთა მშვიდობიან მოგვარებას. აქედან გამომდინარე აქტუალურია მშვიდობიანი პოლიტიკის ჩამოყალიბებისთვის ზრუნვა, როგორც რეგიონალურ ასევე ფართო საერთაშორისო დონეზე.

დაუმთავრებელი კონფლიქტების მქონე სახელმწიფოები ყველანაირად უნდა უწყობდნენ ხელს რეგიონში სამომავლო დესტაბილიზაციის თავიდან არიდებას, რაც აუცილებელია, რომ კონსტრუქციული და მშვიდობიანი გზების საშუალებით განხორციელდეს. თუმცა რიგ შემთხვევებში, სახელმწიფოები უარს აცხადებენ ისეთ პროექტებში მონაწილეობაზე, რომელიც არ შეესაბამება ქვეყნის უსაფრთხოების ინტერესებს.

რეგიონის გეოპოლიტიკური სპეციფიკიდან გამომდინარე საყურადღებოა საკითხი, რომელიც კავკასიის რეგიონის უსაფრთხოების კონცეპტუალურ გამოვლინებებს ეხება. შესაბამისად მნიშვნელოვანია გამოკვლეული იყოს კავკასიის რეგიონალური სტაბილურობის შენარჩუნების მიზნით შემოთავაზებული პროექტი და მისი სამომავლო განხორციელების პერსპექტივა. მოცემულთან მიმართებით კი გამოვიკვლევთ კავკასიის სტაბილურობის პაქტის, ახალ შემოთავაზებულ - 3+3 პოლიტიკურ პლატფორმის ინიციატივას.

აგრეთვე საინტერესოა აღინიშნოს, რომ რეგიონში არსებულ უსაფრთხოების საკითხებთან მიმართებით საქართველოს სახელმწიფოს მნიშვნელოვანი პოლიტიკური როლი გააჩნია, რადგან იგი მდებარეობს გეოპოლიტიკურად საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე

არეალში, რაც მის რეგიონალურ უსაფრთხოების საკითხებთან ჩართულობის პროცესს მნიშვნელოვანს ხდის.

ნაშრომში საკვლევ საკითხთან მიმართებით პრობლემურ საკითხს წარმოადგენს: 3+3 პლატფორმის ინიციატივის საერთაშორისო პოლიტიკური პირობების რელევანტურობის საკითხი, თუ რამდენად სარგებლის მომტანი იქნება მოცემული პროექტი, როგორც ცალკეული სახელმწიფოებისთვის, ამასთანავე კავკასიის რეგიონალური სტაბილურობის შენარჩუნების თვალსაზრისით.

აგრეთვე 3+3 პოლიტიკური პლატფორმა ითვალისწინებს 6 სახელმწიფოს ჩართულობას, სადაც იქნება წარმოდგენილი 3 სამხრეთ კავკასიის რეგიონში მყოფი სახელმწიფო (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი) და 3 დიდი ქვეყანა (რუსეთი, თურქეთი, ირანი), რაც რბილი ძალის გამოყენების ალბათობას აყენებს პოლიტიკურ დღის წესრიგში.

კავკასიის სტაბილურობის პაქტის 3+3 გაერთიანების შემოთავაზებაზე, როგორც ნაშრომშია გამოკვლეული საქართველოს ხელისუფლება უარს აცხადებს პროექტში მონაწილეობის მიღებაზე. მოცემულთან მიმართებით მნიშვნელოვანია, გამოვიკვლიოთ რა მიზეზისგან გამოდინარეობს აღნიშნული და როგორია პრობლემის გადაწყვეტის შესაძლებლობები, აგრეთვე

მოცემულ პოლიტიკურ პლატფორმაში საქართველოს მონაწილეობის საკითხზე ახდენს თუ არა გავლენას, ის რომ პროექტში შემავალ რუსეთსა და საქართველოს შორის, მიმდინარე ეტაპზე არ წარიმართება პირდაპირი საგარეო ურთიერთობები. თუმცა, როგორც ნაშრომშია გამოკვლეული, საქართველოს გააჩნია პოლიტიკურად თანამშრომლური კავშირები, პროექტში შემავალ ქვეყნებთან, შესაბამისად გამოწვევის წინაშე დგას იმ მჭიდრო სახელმწიფოთშორის თანამშრომლურ პლატფორმაში შესვლა, სადაც შემავალია ქვეყანა, რომელთანაც მოცემულ მომენტში არ არსებობს პირდაპირი და ოფიციალური საგარეო პოლიტიკური ურთიერთობები.

ამასთანავე გასათვალისწინებელია ოფიციალური ანკარას ახალი საგარეო პოლიტიკური კურსის, რეგიონალური გავლენების მოპოვებისთვის პოლიტიკური ნაბიჯების და იმ

ახალი შემუშავებული კონცეფციის განხილვა, რასაც იგი ბოლო პერიოდში 2007 წლიდან მისდევს.

სამაგისტრო ნაშრომში მოცემული კვლევის შედეგად წარმოჩნდა, ის სახელმწიფოთმორისი თანამშრომლობების სპეციფიკა. რაც უსაფრთხოების დარგში მიმდინარეობს კავკასიის რეგიონში. აგრეთვე კვლევაში წარმოებული ანალიზით, გამოვლინდა ხელისშემშლელი ფაქტორები, რომელიც კავკასიის რეგიონალური უსაფრთხოების სისტემის შექმნას აფერხებს.

გამოიკვეთა სამხრეთ კავკასიაში არსებული მთავარი გეოპოლიტიკური აქტორების ინტერესები, რომელიც აისახება რეგიონში ფორმირებულ უსაფრთხოების საკითხებთან მიმართებით, მოცემული განხორციელდა კავკასიის სტაბილურობის პაქტის - 3+3 პოლიტიკურ პლატფორმაში არსებულ 6 სახელმწიფოს შორის, პოლიტიკური თუ სამხედრო კავშირების შესწავლით, რაც კავკასიის სტაბილურობის პაქტში მონაწილეობისთვის განსაზღვრულ სახელმწიფოებს, მათი საგარეო ურთიერთობების თუ შიდა პოლიტიკური უსაფრთხოების კურსით გააჩნიათ. ამასთანავე თემასთან მიმართებით, მოხდა მოქმედი საგარეო ურთიერთობების შესწავლა და რეგიონში არსებული განვლილი კონფლიქტების გავლენის ანალიზი.

ა) საკითხის აქტუალობა - უსაფრთხოების დარგში, სამხრეთ კავკასიაში მყოფ ადგილობრივ ქვეყნებს გააჩნიათ საკუთარი სახელმწიფოებრივი ინტერესები, რომლის მიხედვითაც უნდა წარიმართოს საერთაშორისო პოლიტიკა, რაც კიდევ უფრო ზრდის თემის სირთულეს და მნიშვნელობას.

რეგიონალური უსაფრთხოების პოლიტიკური სისტემის გამოკვლევა და სტაბილური გარემოს შენარჩუნებისთვის მიმართული სახელმწიფოთმორისი მოლაპარაკებების წარმართვა, კავკასიის რეგიონში ყოველთვის დიდ გამოწვევებთან იყო დაკავშირებული.

გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე, კავკასიის რეგიონალურ უსაფრთხოების საკითხებზე არსებულ თემატიკას მუდმივად გააჩნია მაღალი პოლიტიკური ინტერესი, რადგან რეგიონი მდებარეობს ევროპის და აზიის პოლიტიკურ სივრცეთა გზაჯვარედინზე. ასევე საკვანძო გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, კავკასიაში არსებული

რეგიონალური უსაფრთხოებისთვის საჭირო მშვიდობიანი პოლიტიკის წარმართვა ხელის შემწყობია საერთაშორისო უსაფრთხოების გამოწვევებთან.

აგრეთვე აქტუალურია კავკასიის სტაბილურობის პაქტის შემოთავაზების ქმედითობასთან დაკავშირებული საკითხის შესწავლა, სადაც სიახლეს წარმოადგენს 3+3 პოლიტიკური პლატფორმა. ამასთანავე მოცემულ საკვლევ საკითხთან დაკავშირებული, იმ კერძო სამეზობლო თანამშრომლობებისა თუ სახელმწიფოთშორისი კავშირების განხილვა, რაც მიმართულია კავკასიის რეგიონში არსებულ სამხედრო თუ პოლიტიკურ კავშირებთან.

იქიდან გამომდინარე, რომ რეგიონი დაძაბულ გეოპოლიტიკურ არეალში მდებარეობს, სხვადასხვა ქვეყნის ოფიციალურ წარმომადგენლებს საშუალება ეძლევათ, მოახდინონ იმ საერთაშორისო გაერთინებების შექმნის თაობაზე ინიციატივების გაჟღერება, რომელიც უსაფრთხოების დარგში, პოლიტიკურ თუ სამხედრო სახელმწიფოთშორის თანამშრომლობის საკითხებს მოიცავს. ხოლო

როგორც აღინიშნა კავკასიის სტაბილურობის პაქტის 3+3 პოლიტიკური პლატფორმის შემოთავაზებასთან მიმართებით, იკვეთება საკვლევითი თემატიკის აქტუალობა და მისი სიახლე. ნაშრომში გამოვიკვლევთ, თუ რამდენადაა შესაძლებელი, რათა მოცემული 3+3 პოლიტიკური პროექტი, მისი შინაარსით ან მასში მონაწილე სახელმწიფოების თანამშრომლობით რეალიზებადი აღმოჩნდეს. ამასთანავე პლატფორმის ამოქმედებამ შესაძლოა ძალთა ბალანსირების საკითხი და სახელმწიფოთა შორის რბილი ძალის გამოყენება დააყენოს პოლიტიკურ დღის წესრიგში. შესაბამისად საკვლევითი თეორიული ჩარჩოს მიხედვით გამოვიკვლევთ კავკასიის რეგიონალური უსაფრთხოების ფორმირების საკითხთან არსებულ მოცემულ პრობლემას.

ბ) კვლევის მიზნები და ამოცანები; კვლევის მიზანს წარმოადგენს იმ პრობლემების გამოვლენა და ანალიზი, რომლებიც ხელს უშლიან რეგიონალური უსაფრთხოების სისტემის შექმნას. ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა შემდეგი ამოცანების გადაწყვეტა: კავკასიის სტაბილურობის პაქტის ახალი 3+3 პლატფორმის ინიციატივის გავლენის

შესწავლა, სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებისა და მთავარი გეოპოლიტიკური აქტორების მიზნებსა და ინტერესებზე;

3+3 ფორმატში არსებულ 6 სახელმწიფოს შორის არსებული საგარეო ურთიერთობების შესწავლა;

სამხრეთ კავკასიაში არსებული ქვეყნების ინტერესებისა და მიზნების შესწავლა;

საქართველოს ხელისუფლების პოზიციის შესწავლა, რომელიც მიმართულია, 3+3 პოლიტიკურ პლატფორმასთან;

იმ ურთიერთობების შესწავლა, რომელიც კავკასიის რეგიონალური უსაფრთხოების სისტემის შექმნაზეა მიმართულია;

3+3 პოლიტიკური პლატფორმის მონაწილეობისთვის განსაზღვრულ, ახალი წევრის (ირანი) გეოპოლიტიკური მიზნების შესწავლა.

გ) საკვლევი კითხვა და ჰიპოთეზა - როგორც აღინიშნა კავკასიის რეგიონი მისი გეოპოლიტიკური ვითარების გამო, სხვადასხვა პოლიტიკური ინიციატივებით გამოსვლის საშუალებას იძლევა, ხოლო რეგიონალური სტაბილურობის ფორმირებაზე, მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა აქ არსებულმა კონფლიქტებმა.

სახელმწიფოთა გეოპოლიტიკური მდებარეობა დიდ ზეგავლენას ახდენს ქვეყნის პოლიტიკური სისტემის ხასიათზე. ამასთანავე შესაძლოა ითქვას, რომ საკმაოდ ძლიერია ის წინაპირობები, რომლებიც კავკასიის რეგიონში მყოფ სახელმწიფოებისაგან საერთო და მრავალმხრივი თანამშრომლობების განვითარებას გულისხმობს. (მაგალითად უსაფრთხოების თემატიკაზე არსებული ალიანსები და სხვადასხვა პოლიტიკური პლატფორმები),

უსაფრთხოების დარგში მნიშვნელოვანია, რომ კავკასიის რეგიონში არსებული მრავალმხრივი ურთიერთობები, მიმართული იყოს რეგიონალური უსაფრთხოების სისტემასთან არსებულ პრობლემურ საკითხთა მოგვარებისკენ. ამასთანავე

სახელმწიფოთშორისი თანამშრომლობა, პირველ რიგში მორგებული უნდა იყოს კავკასიის რეგიონში მყოფ სახელმწიფოთა უშუალო პოლიტიკურ ინტერესებზე.

სამაგისტრო ნაშრომში მოცემულ საკვლევ კითხვას წარმოადგენს - როგორია 3+3 პოლიტიკურ პლატფორმასთან მიმართებით არსებული რეგიონალური უსაფრთხოების პრობლემების წარმოშობის გეოპოლიტიკური მიზეზები და, მათი უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, რეგიონში არსებული სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები, რომელებიც გავლენას ახდენენ კავკასიის სტაბილურობის პაქტის რეალიზებაზე?

სამაგისტრო ნაშრომში გამოყენებულ ჰიპოთეზად შევარჩიეთ შემდეგი ჰიპოთეზა - რაც უფრო ძლიერია რეგიონში არსებული სახელმწიფოებისა და მთავარ გეოპოლიტიკურ აქტორების ინტერესებს შორის არსებული წინააღმდეგობები, მით უფრო მეტად წარუმატებელი იქნება რეგიონალური უსაფრთხოების სისტემის შექმნის მცდელობა.

ჰიპოთეზის ფალსიფიკაცია: რაც უფრო სუსტია წინააღმდეგობა რეგიონში არსებულ სახელმწიფოებსა და მთავარ გეოპოლიტიკურ აქტორების ინტერესებს შორის, მით უფრო წარმატებული იქნება რეგიონალური უსაფრთხოების სისტემის შექმნის მცდელობა.

დამოუკიდებელ ცვლადს წარმოადგენს, ინტერესებს შორის არსებული წინააღმდეგობა, ხოლო, დამოკიდებული ცვლადია უსაფრთხოების სისტემის შექმნის მცდელობის წარმატების დონე.

დ) თეორიული ჩარჩო - თეორიულ ჩარჩოდ გამოვიყენეთ - ნეორეალიზმის თეორია. ნეორეალიზმი დაკავშირებულია ქენეთ უოლცის ნაშრომთან, რომელიც „საერთაშორისო პოლიტიკის თეორიის“ (1979) სახელით არის ცნობილი. ნეორეალიზმის თეორიის მიხედვით სახელმწიფოთა ქცევას განაპირობებს გლობალური სისტემის ხასიათი, სადაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება საერთაშორისო სისტემას და მის კონფიგურაციას.

საერთაშორისო სისტემის სტრუქტურის ხასიათის მიხედვით, ნეორეალიზმის თეორიაში ორი ძირითადი პოსტულატი განისაზღვრება: „1. საერთაშორისო სისტემა ანარქიული

უფროა, ვიდრე იერარქიული ხასიათისა; 2. სისტემაში ურთიერთქმედებენ ერთი და იმავე ფუნქციების მქონე, მსგავსი ერთეულები. მთელი საერთაშორისო პოლიტიკის არსი ამ ორი მომენტიდან გამომდინარეობს. (რონდელი , 1996)

ნეორეალიზმი აქცენტირებას ახდენს საერთაშორისო სისტემაზე, ხოლო სისტემის თავისებურება განსაზღვრავს საერთაშორისო პოლიტიკის არსს.

ნეორეალიზმის თეორიის მიხედვით, ქვეყნებს შორის არსებული პოლიტიკური ურთიერთობები, საერთაშორისო სისტემის სტრუქტურით არის განსაზღვრული. აგრეთვე საერთაშორისო სისტემის სტრუქტურის თავისებურების ახსნის შესახებ, ქენეთ უოლცი განმარტავს, რომ მოცემული ხელს უწყობს სახელმწიფოების ქმედების შეფასების ანალიზისს, რადგანაც სახელმწიფოები თავიანთ ეროვნულ ინტერესებსა და სტრატეგიას განსაზღვრავენ საერთაშორისო სისტემაში საკუთარი პოზიციის შეფასების საფუძველზე, ეს პოზიცია კი სახელმწიფოს ძლიერებაზეა დამოკიდებული. (რონდელი , 1996)

ასევე ქენეთ უოლცის აზრით, შესაძლებელია საერთაშორისო პოლიტიკის თეორიად ჩამოყალიბება ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა თეორიის შექმნა, ხოლო მოცემულისთვის საჭიროა მოხდეს საერთაშორისო პოლიტიკის განცალკევებულ სფეროდ აღქმა, აგრეთვე კანონზომიერებების აღმოჩენა და შემდგომ მათი ახსნის გზების შემუშავება. რაც კონკურენციის დარეგულირებას, ძალთა ბალანსირებას და სახელმწიფოთა ინტერესის უზენაესობას მოიცავს. ხოლო

ასეთ კანონზომიერებებად უოლცმა მიიჩნია „სახელმწიფოთა საქციელი, რომელიც ყველაზე კარგად ე.წ. Realpolitik -ით არის ახსნილი.“ (აკობია, 2006)

აგრეთვე ნეორეალიზმის თეორიის თანახმად, სახელმწიფოები საერთაშორისო პოლიტიკურ ქმედებებში თავიანთ ძალებზე უნდა იყვნენ დაყრდნობილი, სადაც საკუთარი ინტერესებისთვის უნდა იბრძოდნენ და ამით უნდა განისაზღვროს საერთაშორისო სისტემური სტრუქტურის ხასიათიც. ასევე ნეორეალიზმისეულ საერთაშორისო სისტემაში არ მოქმედებენ მხოლოდ სუვერენული სახელმწიფოები, არამედ

მოცემული თეორიის მიხედვით, საერთაშორისო ურთიერთობებში სხვადასხვა მონაწილე აქტორებისთვის, ხდება გარკვეული როლის მინიჭება, მაგალითად:

- საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის;
- ტრანსნაციონალური კორპორაციებისთვის;
- საერთაშორისო დონის სახელმწიფოთშორისი პოლიტიკური გაერთიანებებისთვის.

ამასთანავე ქენეთ უოლცი განმარტავს, თუ რატომ არიან სახელმწიფოები ერთმანეთთან კონკურენციაში, ცენტრალური არბიტრის არარსებობა საერთაშორისო პოლიტიკის განმსაზღვრელი სტრუქტურული მახასიათებელი იყო. საფრთხის ქვეშ მყოფი და დაუცველი სახელმწიფოები თავდაცვის მიზნით, ქმნიან ალიანსებს მოსალოდნელი საფრთხეების წინააღმდეგ. „ქენეთ უოლცის მიხედვით, ძალთა ბალანსი ავტომატურად ყალიბდება ანარქიულ გარემოში. მაშინაც კი, როცა ისინი მოშლილია, ის მალევე აღდგება.“

(Kegley, 2014)

შესაბამისად ნეორეალიზმის თეორია, დაკავშირებულია ძალთა ბალანსთანაც, ხოლო ზემოთ აღნიშნული რელევანტურია ჩვენს მიერ შერჩეულ საკვლევ თემასთან და რეგიონალური უსაფრთხოების დარგში არსებულ საკითხთან მიმართებით, რომელიც სახელმწიფოთშორის არსებულ საერთაშორისო პოლიტიკურ ურთიერთობებს და საგარეო კავშირებს მოიცავს. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ნეორეალიზმის ჩარჩოთა კონცეფციების შემუშავება დაკავშირებულია 70-იან და 80-იან წლებთან.

ეს არის ძალთა წონასწორობის ქ. უოლცისეული ინტერპრეტაცია. გ. სნაიდერისა და პ. დიზინგის მიერ თამაშთა თეორიის ფორმალური მოდელების გამოყენება კონფლიქტების ანალიზისთვის და რ. გილპინის ჰეგემონური ციკლების თეორია. (რონდელი , 1996)

რაც შეეხება ტერმინ ნეორეალიზმს, აღსანიშნავია, რომ ნეორეალიზმს უწოდებენ სტრუქტურულ რეალიზმსაც, თუმცა ქენეთ უოლცი, რომელიც ნეორეალიზმის სკოლის ყველაზე ცნობილი მკვლევარია და მისი ნაშრომი „საერთაშორისო პოლიტიკის თეორია“, აღიარებულია ნეორეალიზმის მანიფესტად,

უოლცი უპირატესობას ანიჭებს ტერმინს „ნეორეალიზმი“ და უარყოფს ტერმინს „სტრუქტურული რეალიზმი. (Journal of International Affairs, 1990)

ასევე თანამედროვე საერთაშორისო უსაფრთხოების გარემოსთან მიმართებით, ნეორეალიზმის სკოლას გააჩნია კიდევ ერთი საინტერესო თეორია, მოცემული არის რობერტ არტის მიერ წარმოდგენილი თეორია: „შეიარაღებული ძალების ოთხი ამოცანა“. მოცემული „შეიარაღებული ძალების ოთხი ამოცანის“ თეორიის მიხედვით, შეიარაღებულ ძალებს გაუჩნდათ შემდეგი 4 კონკრეტული ამოცანა:

- 1) თავდაცვა;
- 2) შეკავება;
- 3) იძულება;
- 4) ტრაზახი.

შესაბამისად საერთაშორისო პოლიტიკის აქტორებს ანუ საერთაშორისო პოლიტიკაში მონაწილე სახელმწიფოებს, გაუჩნდათ მოცემული 4 კონკრეტული ამოცანა, რადგან ერთის მხრივ, თანამედროვე სამყაროში, მიმდინარეობს სამხედრო ტიპის ტექნიკური პროგრესი, ხოლო მეორეს მხრივ, ქვეყნების უმრავლესობას მიაჩნია, რომ

„საკუთარი ეროვნული ინტერესების მაქსიმალურად მიღწევისთვის უფრო მეტად დაეყრდნოს სამხედრო ძალაუფლებას.“ (მაღრაძე, 2017)

თუმცა აქვე აღსანიშნავია „უსაფრთხოების დილემის“ საკითხი, რადგან რეგიონალურ სამხედრო ვითარებასთან მიმართებით, მნიშვნელოვანია ეროვნული უსაფრთხოების ფენომენის გათვალისწინება და საინტერესოა, რომ ეროვნულ უსაფრთხოებას გააჩნია, თავისი შემადგენელი ანალიტიკური და სამეცნიერო „შიგთავსი“, მოცემულს შეუძლია, საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტების მიხედვით და რეალური ვითარების აღქმით, განსაზღვროს სახელმწიფოს განვითარების ეტაპები, ასეთ ე.წ. სამეცნიერო „შიგთავს“ შეადგენს, 3 კომპონენტი.

რომელიც ქვეყნის პოლიტიკურ ხელმძღვანელობამ უნდა გაითვალისწინოს ”მაღალი დონის“ პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში. ასეთ კომპონენტებს წარმოადგენენ:

- 1) ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია (ლოკალური დონე);
- 2) ეროვნული უსაფრთხოების დილემა (რეგიონალური დონე);

3) ეროვნული უსაფრთხოების ჩიხი (ტრანსრეგიონალური დონე) (მაღრაძე, 2017)

რადგან სამაგისტრო ნაშრომი ეხება რეგიონალური უსაფრთხოების ვითარების კვლევას, ამიტომ ზემოთ ჩამოთვლილი უსაფრთხოების სამი კონცეპტუალური კომპონენტიდან, საკითხთან შესაბამისობაში მოდის „ეროვნული უსაფრთხოების დილემა“, რომელიც რეგიონალურ დონეზეა მიმართული.

სახელმწიფოთა „უსაფრთხოების დილემის“ საფუძველი საკმაოდ მარტივია. მოცემული გამომდინარეობს საერთაშორისო უნდობლობის ფონზე, სახელმწიფოს უსაფრთხოების ზომების და სამხედრო სიძლიერის გაზრდით. მაგალითად,

“იარაღის შეგროვება, თავდაცვის ხარჯების გაზრდა, საზღვრების გამაგრება, ეროვნული სარაკეტო თავდაცვის განვითარება და სხვა.“ (Cottam, 2004) ასევე აღსანიშნავია, რომ პოლიტიკურ მეცნიერებაში ”უსაფრთხოების დილემა“ არის სიტუაცია, რაც თავის მხრივ ახდენს სახელმწიფოს თავდაპირველი უსაფრთხოების არა გაზრდას, არამედ შემცირებას. რადგან უსაფრთხოების გაზრდის მიზნით განხორციელებულ ქმედებებს, სანაცვლოდ მოჰყვება სხვა ქვეყნების რეაქციაც.

რადგან ეროვნული „უსაფრთხოების დილემა“ მზარდი გამაღებელი შეიარაღების რბოლის განვითარებაა, რომლის პირობებშიც ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების პირობები და ფაქტორები მცირდება შეიარაღების და მთლიანად სამხედრო ასიგნებათა გაზრდის ხარჯზე. (მაღრაძე, 2017)

ჯერვისი მიიჩნევს, რომ უსაფრთხოების დილემის სიმწვავე, დამოკიდებული არის თავდაცვის და შეტევის სამხედრო დოქტრინებზე, აგრეთვე სამხედრო ტექნოლოგიების მიმდინარე ვითარებაზე.

ხოლო სამხედრო ძლიერების ზრდას, მოსდევს სურვილის საწინააღმდეგო, რადგან იქმნება ჩაკეტილი წრის ვითარება და ომის საშიშროება მაღალ ნიშნულს აღწევს.

მოცემულთან მიმართები აღსანიშნავია რომ, როგორც მრავალი საერთაშორისო პოლიტიკის ექსპერტი და საგარეო ურთიერთობების მკვლევარი მიიჩნევს, აღნიშნული

გამოდინარეობს იქიდან, რომ “უსაფრთხოების დილემა” ქვეყნებს შორის არსებულ კონფლიქტების წარმოქმნის ერთ-ერთი წყაროა, რადგან საკუთარი თავდაცვის ძალებისა და სამხედრო უსაფრთხოების გაზრდის ფონზე, სახელმწიფოები სხვა ქვეყნებს უძლიერებენ საფრთხის შემცველი ვითარების და მისი მოახლოების შეგრძნებას.

ძალთა ბალანსთან მიმართებით საინტერესოა, განვიხილოთ ფრანგი საერთაშორისო სამართლის სპეციალისტის გატელის განსაზღვრება, რომელიც ამ ცნებას განმარტავს შემდეგნაირად:

„ძალთა ბალანსი წარმოადგენს სახელმწიფოთა შორის ურთიერთობების ისეთ სახეს, სადაც არც ერთი მათგანი არ არის იმდენად ძლიერი, რომ სხვებს მოახვიოს თავისი კანონები.“(თევზაძე, 1999)

ძალთა ბალანსი საერთაშორისო ურთიერთობების ერთ-ერთი უძველეს კონცეფციას წარმოადგენს. ის საერთაშორისო ისტორიაში ერთდროულად იძლევა პასუხს, როგორც მშვიდობის, ასევე ომის პრობლემაზე. საუკუნეების მანძილზე იგი, ასევე განიხილება, როგორც ყველა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრინციპი და პოლიტიკური ქცევის უნივერსალური კანონი. სამყაროში, სადაც ძალაუფლების სხვადასხვა ხარისხის მქონე მრავალი ერია წარმოდგენილი და სადაც თითოეული ერი ცდილობს, რომ მაქსიმალურად გაზარდოს თავისი ძალა, არსებობს ტენდენცია, რომ მთელი სისტემა იყოს დაბალანსებული, კონკურენტი ჯგუფები აბალანსებენ მათ ძალებს, რაც პრევენციულია და ახდენს სამართლიან დაბალანსირებას, რომ ვერცერთი ჯგუფი იყოს დომინანტური სიძლიერის მდგომარეობაში. ითვლება, რომ სახელმწიფოთა შორის და საერთაშორისო პოლიტიკურ სივრცეში მშვიდობა არის მანამ, სანამ ძალთა ბალანსი მიმდინარეობს. (Political Science View, 2018)

ასევე გასათვალისწინებელია, რომ საერთაშორისო დონეზე სახელმწიფოთა რამდენიმე ჯგუფის სისტემური დაყოფა ხდება, მათ მიახლოებით თანაბარი ძალა გააჩნიათ, ხოლო საერთაშორისო სისტემით, აღნიშნული ძალთა წონასწორობა (ძალთა ბალანსი) მშვიდობისთვის მთავარ გარანტს წარმოადგენს.

ამ კონცეფციიდან გამომდინარეობს, რომ თითოეულ სახელმწიფოს გააჩნია ძირითადი ამოცანა, რომელიც მიმართულია თვითგადარჩენის და თვითდამკვიდრების ბრძოლისკენ. ამასთანავე მოცემულათან მიმართებით აუცილებელი პირობაა, უსაფრთხოების და დამოუკიდებლობის შენარჩუნება. ხოლო რიგ შემთხვევებში, სახელმწიფოები უსაფრთხოების და სუვერენიტეტის შენარჩუნების მიზნით თანამშრომლურად მოქმედებენ, (მოცემული მოიცავს სხვადასხვა საერთაშორისო პოლიტიკის და სახელმწიფოთშორისი ურთიერთობების რეალიზებას) რათა დაუპირისპირდნენ იმ ქვეყნებს, რომლებიც მათი სახელმწიფოებრივი უსაფრთხოებისა და სუვერენიტეტისთვის საფრთხის შემცველნი არიან.

ე) თემის დამუშავების დროს გამოყენებული მეთოდოლოგია - სამაგისტრო ნაშრომისთვის გამოყენებულია თვისებრივი კვლევის მეთოდი. აგრეთვე იმისათვის, რომ რეგიონალური უსაფრთხოების თემასთან არსებული რესურსის შესაბამისი შინაარსობრივი ანალიზი მოგვეხდინა, გამოვიყენეთ კონტენტ ანალიზის მეთოდი. შინაარსობრივი ანალიზის დახმარებით მოხდა რელევანტური წიგნების დამუშავება, აგრეთვე მოცემულ საკვლევ საკითხთან მიმართებით, მრავალი შესაბამისი სტატიის და საგარეო პოლიტიკური ანალიტიკური მასალის გამოკვლევა.

სამაგისტრო კვლევის წარმოებისას, აგრეთვე გამოვიყენეთ ე.წ. „Case Study“ - ის მეთოდი, რადგან ვიკვლევთ კონკრეტულ ახალ ინიციატივას, რომელიც კავკასიის რეგიონალური უსაფრთხოების სისტემის ფორმირების ჭრილში, ახალი შემოთავაზებული მოდელის, 3+3 რეგიონალური პლატფორმის, პოლიტიკური ინიციატივის გამოკვლევას ეხება. შესაბამისად აღნიშნული კვლევის მეთოდი რელევანტური აღმოჩნდა წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომში მოცემული საკვლევ ამოცანების და საკითხის ინტენსიური შესწავლის მიზნით.

კვლევის მეთოდებთან მიმართებით ნაშრომში, ამასთანავე გამოყენებულია პოლიტიკის კვლევის ანალიზი. აგრეთვე სამაგისტრო კვლევაზე მუშაობის დროს და დეტალური მონაცემების მიღების მიზნით, მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, უსაფრთხოების დარგში არსებული საერთაშორისო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების შესაბამისი

წიგნების და დოკუმენტაციის გამოკველვა. ხოლო მისი დამუშავებისთვის ემპირიული კვლევის მეთოდები იქნა არჩეული. აღნიშნული კვლევის მეთოდები, თემის ფაქტობრივი შესწავლის საშუალებას იძლევა, რაც რელევანტურია მოცემული სამაგისტრო ნაშრომის საკვლევ საკითხთან მიმართებით, აგრეთვე არსებულ მასალასთან და ლიტერატურული რესურსის განხილვისთვის საჭირო ანალიზის წარმოებისთვის.

ლიტერატურული წყაროების მიმოხილვა

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომში, საკვლევო საკითხის ირგვლივ და თემის ინტენსიური აკადემიური შესწავლის მიზნით, ქვემოთ განხილულმა წიგნებმა და პოლიტიკის მეცნიერების ანალიტიკურმა ლიტერატურულ წყაროებმა მნიშვნელოვანი დახმარება გაგვიწია.

ამასთანავე, საგარეო ურთიერთობებში არსებულმა კვლევითი ხასიათის მქონე, ანალიტიკურმა წყაროებმა, საშუალება მოგვცა, გამოგვეკვლია კავკასიის რეგიონალური უსაფრთხოების ფორმირების საკითხი და სამაგისტრო ნაშრომის საკვლევო კითხვების / ამოცანების შესაბამისი თემატიკა, გამოვიყენეთ შემდეგი აკადემიური რესურსები:

„საერთაშორისო ურთიერთობები“ - ალექსანდრე რონდელი

წინამდებარე სამაგისტრო კვლევის მიმდინარეობისას, არსებული საკვლევო ჩარჩოს ფორმირებისთვის მნიშვნელოვანი დახმარება მივიღეთ, ალექსანდრე რონდელის მიერ შედგენილ სამეცნიერო შრომის დამუშავებით.

რონდელის წიგნი “საერთაშორისო ურთიერთობები“, სიღრმისეულად აღწერს პოლიტიკის მეცნიერების და საერთაშორისო ურთიერთობის თეორიებს, რამაც საშუალება მოგვცა, დეტალურად შეგვესწავლა ის სამეცნიერო სპეციფიკა, რაც სამაგისტრო ნაშრომის საკვლევო ჩარჩოს მომზადების შემდეგ, უშუალოდ მთავარი ტექსტის ფორმირებისთვის არის საჭირო.

აგრეთვე მოცემულ აკადემიურ წყაროში, წარმოჩენილია ნეორეალიზმის თეორიის როლი საერთაშორისო პოლიტიკაში და სახელმწიფოთა ქცევის განმაპირობებელი ფაქტორები, რაც გამომდინარეობს საერთაშორისო კონფიგურაციიდან და გლობალური პოლიტიკის სისტემის ხასიათიდან, რომელიც ძალთა წონასწორობისა და სახელმწიფოთა ინტერესის უზენაესობას მოიცავს.

სახელმძღვანელო “საერთაშორისო ურთიერთობები“ (რონდელი, 1996). შედგენილია ალექსანდრე რონდელის ავტორობით, იგი იყო ქართველი პოლიტოლოგი და დიპლომატი, მას შედგენილი აქვს მრავალი სამეცნიერო ნაშრომი საერთაშორისო ურთიერთობების

დარგში. აკადემიური მოღვაწეობის კუთხით, იგი იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობათა კათედრის გამგე, (Democracy & Freedom Watch , 2015) ხოლო საქართველოს ფარგლებს გარეთ სხვადასხვა პერიოდში იგი მუშაობდა ამერიკის შეერთებული შტატების სხვადასხვა უნივერსიტეტში.

ალექსანდრე რონდელმა დაარსა საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი - (რონდელის ფონდი). 2000 წელს მას მიენიჭა საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი; 2002 წლიდან იყო საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის პრეზიდენტი. (The National Library of Georgia, თ. გ.)

„საერთაშორისო ურთიერთობების თეორია“ - ეკა აკობია

აღნიშნულმა სახელმძღვანელომ საშუალება მოგვცა, დამატებითი ინფორმაცია მიგველო, სამაგისტრო ნაშრომისთვის შერეულ თეორიულ ჩარჩოზე, ისევე, როგორც დაგვეკავშირებინა მისი მსგავსება და განსხვავება, რაც ნეორეალიზმის თეორიას სხვა პოლიტიკის მეცნიერების თუ საერთაშორისო ურთიერთობის თეორიებთან მიმართებით გაააჩნია. გარდა ამისა, მოცემულმა წყაროებმა: რონდელის “საერთაშორისო ურთიერთობები” - და აკობიას “საერთაშორისო ურთიერთობების თეორია“, დიდი დახმარება გაგვიწია მთავარი ტექსტის ფორმირებისთვის საჭირო სამეცნიერო და კვლევითი ინფორმაციის მიღებისთვის,

“Caucasus Stability and Cooperation Platform”: What is at Stake for Regional Cooperation?”

“Caucasus Stability and Cooperation Platform”: What is at Stake for Regional Cooperation?” მოცემული წყარო დაგვხმარა ახალი რეგიონალური საგარეო პოლიტიკის შესწავლაში, რომლის გატარების სურვილიც გააჩნია ოფიციალურ ანკარას, აღნიშნული საგარეო სტრატეგიის დაწყება დაემთხვა 2007 წელს, პრემიერ მინისტრის კაბინეტში არსებულ ცვლილებებს, როცა პრემიერ-მინისტრ რეჯეფ თაიფ ერდოღანის უფროსი მრჩეველი გახდა აჰმედ დავუთოღლუ.

აგრეთვე აღნიშნული წყაროს მეშვეობით გაირკვა, რომ რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომი, თურქული მხარისთვის გახდა იმის კატალიზატორი, რათა რეგიონში მოეხდინათ თურქული "სამშვიდობო" ინიციატივების აქტიური გაჟღერება. (Fotiou, 2009) თუმცა მოცემულთან მიმართებით ჩნდება ის ახალი საგარეო პოლიტიკის სპეციფიკა, რასაც სამხრეთ კავკასიის რეგიონში თურქული მხარე მის მიერ „რბილი ძალის“ როლის მორგებით ცდილობს.

ხოლო, "Caucasus Stability and Cooperation Platform": What is at Stake for Regional Cooperation?" ქართ. "კავკასიის სტაბილურობის და თანამშრომლობის პლატფორმა": რა დევს სასწორზე რეგიონული თანამშრომლობისთვის?", მოცემული წყარო სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პერიოდში დაგვეხმარა, რათა თანმიმდევრულად შეგვესწავლა ის ახალი საგარეო პოლიტიკა, რაც ოფიციალური ანკარას მხრიდან რეგიონში გავლენების გაზრდის არა აგრესიული სვლებისგან შედეგება და მოიცავს:

- "რბილ ძალას"
- "ნულოვან პრობლემებს მეზობლებთან"
- "რიტმულ დიპლომატიას" (Fotiou, 2009)

აგრეთვე ნაშრომი უშუალოდ დაგვეხმარა შეგვესწავლა ის სამომავლო პოტენციალი და მოტივები, რასაც „კავკასიის სტაბილურობის პაქტი“ - ის სამომავლო პერსპექტივები და თურქეთის საგარეო პოლიტიკის კონტექსტი მოიცავს.

გარდა ამის "Caucasus Stability and Cooperation Platform": What is at Stake for Regional Cooperation?" მოიცავს იმ სამომავლო "შეზღუდვების" გამოკვლევას, რაც შესაძლოა "კავკასიის სტაბილურობის პაქტის" განხორციელებამ პლატფორმაში შემავალ სახელმწიფოებს მოუტანოს.

Introduction to political psychology - Cottam Martha, Dietz-Uhler Beth, Mastors Elena M., Preston Thomas, გამომცემლობა: New Jersey : LEA , 2004

წიგნი “Introduction to political psychology” - ქართ. “შესავალი პოლიტიკურ ფსიქოლოგიაში“, საერთაშორისო უსაფრთხოებისა და კონფლიქტის პოლიტიკურ ფსიქოლოგიას ეხება, ამასთანავე პოლიტიკურ ლიდერთა ფსიქოლოგიას და ზოგადად პოლიტიკის მეცნიერების ფსიქოლოგიურ შემეცნებას. მოცემული ლიტერატურიდან მიღებული ინფორმაციით საშუალება მოგვეცა, ერთმანეთთან დაგვეკავშირებინა მოქმედი რეგიონალური უსაფრთხოების მნიშვნელოვანი პრობლემური საკითხები და პოლიტიკური ფსიქოლოგიის ასპექტები, რომელიც ჩვენ სამაგისტრო ნაშრომთან მიმართებით ითვალისწინებს:

- პოლიტიკური აქტორების ფსიქოლოგიას;
- პოლიტიკური ლიდერების შესწავლას;
- მათი პოლიტიკური ემოციების და დამოკიდებულებების ფსიქოლოგიური ასპექტების გამოკვლევას;
- საერთაშორისო უსაფრთხოების ფსიქოლოგიას;
- კონფლიქტის პოლიტიკურ ფსიქოლოგიას.

კერძოდ წიგნი “Introduction to political psychology”, სამაგისტრო კვლევის მიმდინარეობისას დაგვეხმარა, განგვესაზღვრა ის სპეციფიკა, რომელიც საერთაშორისო პოლიტიკაში არსებულ უსაფრთხოების და კონფლიქტის პოლიტიკურ ფსიქოლოგიას ეხება, ამასთანავე უშუალოდ იმ ლიდერთა კონკრეტულ მოქმედებებს და მოტივაციას, რაც მათი პერსონალური პოლიტიკური ლიდერობის მეშვეობით, მათ საერთაშორისო პოლიტიკურ გადაწყვეტილებებში გამოიხატება.

„World Politics: Trend and Transformation” - Charles Kegley Jr, Canada, 2014.

ლიტერატურული წყაროდან: “World Politics: Trend and Transformation“, ქართ. “მსოფლიო პოლიტიკა: ტენდენცია და ტრანსფორმაცია“, სამაგისტრო ნაშრომში წარმოდგენილ პრობლემურ საკითხთან მიმართებით, მივიღეთ შემდეგი ინფორმაცია:

- გლობალურ აქტორების საერთაშორისო პოლიტიკურ მიზნებზე;
- სამხედრო საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ არსებულ სპეციფიკაზე;

- რეგიონალური უსაფრთხოების საკითხებზე მუშაობის თავისებურებაზე;
- საერთაშორისო პოლიტიკის სექტორის ანალიზზე,

წიგნი “World Politics: Trend and Transformation“, თანამედროვე საგარეო პოლიტიკური სტრუქტურის დამაბუღელ ვითარების სამეცნიერო ანალიზსს მოიცავს, რაც დავუკავშირეთ სამაგისტრო ნაშრომის საკვლევ საკითხის ამოცანებს. ამასთანავე საკვლევ თემასთან მიმართებით ლიტერატურული წყარო „World Politics: Trend and Transformation“ დაგვეხმარა, გამოგვეკვლია თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკის სტრუქტურა და ის გლობალური პრობლემები, რაც დაკავშირებულია საერთაშორისო უსაფრთხოების პოლიტიკურ საკითხებთან.

”სამხრეთ კავკასიის რეგიონული უსაფრთხოების ორი თურქული მოდელი” - მაია მანჩხაშვილი; (2021)

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომში, აღნიშნული წყარო დაგვეხმარა საკვლევ საკითხის სიღრმისეული შესწავლისთვის, ვინაიდან ლიტერატურული წყარო - “სამხრეთ კავკასიის რეგიონული უსაფრთხოების ორი თურქული მოდელი“ პირდაპირ მოიცავს კავკასიის სტაბილურობის პაქტის 2008 წლის პირველი ინიციატივის შესახებ ინტენსიურ სამეცნიერო გამოკვლევას რესურს.

აგრეთვე აღნიშნული წიგნის მეშვეობით საშუალება მოგვცა, გავცნობოდით სანდო სამეცნიერო კვლევით ინფორმაციას, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია კავკასიის სტაბილურობის პაქტის, პოლიტიკური პლატფორმის შინაარსთან და მიზნობრიობასთან. წიგნი შედგენილია პოლიტიკის მეცნიერების დოქტორის მაია მანჩხაშვილის მიერ.

“The politics of the Black Sea region : EU neighbourhood, conflict zone or future security community?” University of Leicester, United Kingdom, გამომცემლობა: Farnham, Surrey, Ashgate Pub. Company, England

მოცემული ლიტერატურის მიხედვით სამაგისტრო ნაშრომში მოვახდინეთ იმ სამეზობლოთშორისი ურთიერთობების გამოკვლევა, რომელიც 3+3 პოლიტიკური პლატფორმის შემადგენელ სახელმწიფოებს შორის ვლინდება. რადგან წიგნი უშუალოდ

ეხება რეგიონში მიმდინარე კონფლიქტებს, ამასთანავე შავი ზღვის რეგიონის მეზობლობას ევროპის გაერთიანებასთან; აგრეთვე რეგიონში ამერიკის შეერთებული შტატებისა და რუსეთის ფედერაციის რეგიონალურ დამოკიდებულებს.

წიგნში "The politics of the Black Sea region : EU neighbourhood, conflict zone or future security community?" ქართ. "შავი ზღვის რეგიონის პოლიტიკა: ევროკავშირის სამეზობლო; კონფლიქტური ზონა თუ სამომავლო უსაფრთხოების გაერთიანება?", უშუალოდაა ასახული შავი ზღვის სახელმწიფოთა პოლიტიკა და უსაფრთხოების საკითხებთან მიმართული ასპექტები, რომელიც საკვლევ საკითხთან მიმართებით გამოვიყენეთ 3+3 სახელმწიფოების უსაფრთხოების და საგარეო პოლიტიკის შესწავლის მიზნით.

"Conflicts in the South Caucasus: Political Security and development challenges, King's college London "

სამეცნიერო კონფერენციის დროს გამოყენებული ნაშრომების მოცემული კრებული შედგენილია თბილისსა და ლონდონში ჩატარებული ორი რეგიონული საკონფერენციო მოხსენებების ფარგლებში.

მოცემული სახელმძღვანელო წყარო "Conflicts in the South Caucasus: Political Security and development challenges, King's college London " ქართ. "კონფლიქტები სამხრეთ კავკასიაში: პოლიტიკური უსაფრთხოებისა და განვითარების გამოწვევები,". სამაგისტრო ნაშრომის წერის პერიოდში, ინტენსიურად დაგვეხმარა კავკასიის რეგიონალური პოლიტიკური სისტემის შესწავლაში, რადგან კონფერენციაში წარმოდგენილ ქართველ და ბრიტანელ მომხსენებელთა თემები, ეხებოდა საერთაშორისო ურთიერთობებს და გამოწვევებს, რაც კავკასიის რეგიონალური პოლიტიკის ფორმირებასთანაა მიმართული.

კონფერენციის ორგანიზება მოხდა კავკასიის პოლიტიკის ინსტიტუტის "Caucasus Policy Institute" -ის მიერ, "King's college london" და "The Royal Institute of International affairs" -ის საერთაშორისო საქმეთა ინსტიტუტთან ერთად.

აგრეთვე კონფერენციის ორგანიზატორი იყო "საქართველოს საერთაშორისო და სტრატეგიული კვლევების, რონდელის ფონდი" (Rondeli Foundation, Georgian Foundation for Strategic and International Studies')

“გეოპოლიტიკური ცვლილებები დროსა და სივრცეში: გეოპოლიტიკის კლასიკური პერიოდი“

ლიტერატურული წყარო: “გეოპოლიტიკური ცვლილებები დროსა და სივრცეში: გეოპოლიტიკის კლასიკური პერიოდი“, დაგვეხმარა განგვესაზღვრა სამაგისტრო ნაშრომში არსებული გეოპოლიტიკური ფაქტორების არსი, რადგან წიგნი უშუალოდ მოიცავს გეოპოლიტიკის ცნების და მისი, როგორც სამეცნიერო დისციპლინის განსაზღვრებას, რაც პირდაპირ კავშირშია ჩვენი სამაგისტრო ნაშრომის, საკვლევი ამოცანების სპეციფიკასთან.

აგრეთვე მოცემულ წყაროს მიხედვით განსაზღვრული იქნა, გეოგრაფიული გარემოს ურთიერთკავშირი უშუალოდ ევრაზიულ პოლიტიკის სივრცესთან, რაც განხილულია კლასიკურ გეოპოლიტიკურ თეორიათა ჭრილში. ასევე განხილულია ის პოლიტიკური ინტერესები, რომელიც გეოპოლიტიკურ ფაქტორების ისტორიულ თანმიმდევრობას მოიცავს.

“სტრატეგიული კვლევები“

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ შედგენილ „სტრატეგიული კვლევები“ - ის კრებულიდან, მოვახდინეთ თეორიული ჩარჩოს დამუშავებისას რელევანტური ინფორმაციის მიღება, აგრეთვე სამაგისტრო ნაშრომის მთავარი ტექსტის შედგენისას მნიშვნელოვანი დახმარება გაგვიწია მოცემულმა წყარომ, რადგან ნაშრომი ეხება:

- რეგიონალურ გეოპოლიტიკურ ვითარებებს;
- სამხედრო მეცნიერებას;
- სამხედრო ეკონომიკას;
- საერთაშორისო ურთიერთობათა იდეოლოგიებს,
- საერთაშორისო ურთიერთობების ასპექტებს;

რომელიც უშუალოდაა მიმართული საქართველოს უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხზე. კრებული შედგენილია საქართველოს თავდაცვის მინისტრის, გენერალ-ლეინტენანტის დავით თევზაძის რედაქციის მიხედვით.

წიგნებიდან:

(1) Geopolitics - a very short introduction, გამომცემლობა Oxford University;

(2) International law - a very short introduction, გამომცემლობა Oxford University;

(3) International relations - a very short introduction, გამომცემლობა Oxford University,

მივიღეთ ინფორმაცია სამაგისტრო ნაშრომში გამოყენებულ დარგობრივ განმარტებებზე,

(1) გეოპოლიტიკის შესახებ, ამასთანავე კავშირზე, რომელიც მას გაჩნია საერთაშორისო პოლიტიკურ ძალაუფლებასთან მიმართებით, გეოგრაფიისა და კულტურული ფაქტორების გათვალისწინებით.

(2) საერთაშორისო სამართლის და ნორმების იმპლემენტაციის შესახებ, რაც სახელმწიფოებს საერთაშორისო ურთიერთობების რეალიზების ფარგლებში კონკრეტული საერთაშორისო იურიდიული დონის ვალდებულებით ესახებათ.

აღნიშნული პირდაპირ არის დაკავშირებული წინამდებარე სამაგისტრო კვლევასთან, ვინაიდან ნაშრომი მოიცავს იმ ტიპის სახელმწიფოთშორის გაერთიანების გამოკვლევას, რომელიც რეალიზაციის შემთხვევაში საერთაშორისო დონის სამართლებრივი პასუხისმგებლობის აღებისკენ მოუწოდებს პაქტში გაწევრიანებულ ქვეყნებს.

(3) საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ, რომელიც უცხო სახელმწიფოთა კავშირს და სამთავრობათაშორისო ორგანიზაციების მუშაობის გამოწვევებს ეხება, ამასთანავე წყაროებიდან მიღებული ტერმინოლოგიური ინფორმაცია გამოვიყენეთ სამაგისტრო კვლევის პერიოდში მთავარ ტექსტზე მუშაობის დროს.

ჰიბრიდული ომი და 21-ე საუკუნის საერთაშორისო უსაფრთხოების პრობლემები

წიგნიდან მივიღეთ ბაზისური განმარტებები, საერთაშორისო უსაფრთხოების და გეოპოლიტიკაზე არსებულ სამეცნიერო საკითხებზე.

ლიტერატურიდან “ჰიბრიდული ომი და 21-ე საუკუნის საერთაშორისო უსაფრთხოების პრობლემები“ მიღებული ინფორმაცია გამოვიყენეთ, როგორც სამაგისტრო ნაშრომის შესავალ ნაწილში, ამასთანავე აღნიშნულ ლიტერატურულმა წყარომ, დახმარება გაგვიწია მთავარ ტექსტზე მუშაობისასაც, რადგან სახელმძღვანელო უშუალოდ ეხებოდა სამხედრო უსაფრთხოების პარადიგმას და რეგიონალური უსაფრთხოების პრობლემურ საკითხებს.

“International security and war. politics and grand strategy in the 21st century“ Hauppauge, N.Y. : Nova Science Publisher's, New York.

მოცემული ლიტერატურული წყარო დაგვხმარა თანამედროვე სამხედრო ტენდენციების გამოკვლევისთვის, სადაც ინტენსიურად არის განხილული საერთაშორისო დონის სამხედრო უსაფრთხოების სპეციფიკა, რამაც საშუალება მოგვცაა სიღრმისეულად დაგვემუშავებინა სამაგისტრო კვლევისთვის საჭირო ის პოლიტიკის ჭრილი, რომელიც ომის და რეგიონალური კონფლიქტების თემატიკას ეხება.

აგრეთვე წიგნი - “International security and war. politics and grand strategy in the 21st century“ , ქართ. „საერთაშორისო უსაფრთხოება და ომი. პოლიტიკა და გრანდიოზული სტრატეგია 21-ე საუკუნეში“, დაგვხმარა საერთაშორისო ურთიერთობებში უსაფრთხოების დარგში მოქმედი, სახელმწიფოთშორისი თანამშრომლობის ურთიერთქმედებათა შესწავლაში, რომელიც საერთაშორისო უსაფრთხოების დარგში ურთიერთობების სამხედრო ანალიზს ეხება.

თავი 1. რეგიონის სახელმწიფოთა უსაფრთხოების პოლიტიკის პრიორიტეტები

1.1. უსაფრთხოების პრობლემები კავკასიაში და კავკასიის სტაბილურობის პაქტის იდეა 3+3 პლატფორმის ინიციატივის წარმოშობამდე

რეგიონში მშვიდობიანი გარემოს მიღწევა შესაძლებელია ინტენსიური საგარეო ურთიერთობის და კომუნიკაციის გზით, თუმცა მოცემულს თან უნდა ახლდეს ქმედითი ნაბიჯები, მათ შორის კონფლიქტის სამართლებრივი მოგვარებისთვის საჭირო დიალოგის წარმართვა და სახელმწიფოთშორის დონეზე არსებული საერთო საგარეო კონსესუსის მიღწევისთვისთვის საჭირო, საერთაშორისო პოლიტიკური შესაძლებლობების რეალიზება. შესაბამისად სამაგისტრო ნაშრომში საკვლევი ჩარჩოს მიხედვით მოვახდენთ რეგიონალური უსაფრთხოების სისტემის ფორმირების კონტექსტში, 3+3 პოლიტიკური პლატფორმის გამოკვლევას.

სახელმწიფოების პოლიტიკურ თუ დიპლომატიურ ურთიერთობებზე დაკვირვებით ცხადი ხდება, რომ მშვიდობიანი რეგიონალური ვითარების შენარჩუნებისთვის, მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს რეგიონში არსებული მრავალმხრივი სახელმწიფოთშორისი პოლიტიკური თანამშრომლობა, რაც თავის მხრივ წარმოშობს შესაძლებლობას, მოხდეს რეგიონში არსებული კონფლიქტური ვითარებების განმუხტვა.

საერთაშორისო პოლიტიკაში მიმდინარე მოვლენებს კონკრეტული კანონზომიერება და თავისებურები გააჩნიათ, ამასთანავე აღსანიშნავია, რომ მსოფლიოში მიმდინარე გარდამტეხი პროცესების უმეტესობა ევრაზიულ სივრცეში განვითარებულა. სამართლიანად ესმევა ხაზი იმასაც, რომ ის, რაც დღეს პოლიტიკურ პროცესს წარმოადგენს ხვალ უკვე ისტორიის კუთვნილება ხდება. (წურჭუმია. , 2015) ამასთან უშუალოდ კავკასიის რეგიონალურ სივრცეში, მრავალი საგულისხმო პოლიტიკური მოვლენა მოხდა,

გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე გამოწვევებით ხასიათდება აქ არსებული რეგიონალური უსაფრთხოების საკითხი. მიმდინარე გამოცდილებით ირკვევა, რომ რეგიონში მყოფ მეზობელ სახელმწიფოთათვის, ერთ-ერთ საერთო გეოპოლიტიკურ პრობლემას, დიდ ქვეყნებს შორის არსებობა წარმოადგენს, რასაც თან ერთვის საერთაშორისო დონის სირთულის მქონე პოლიტიკური არეალი. აქედან გამომდინარე მნიშვნელოვანია რეგიონში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების და 3+3 პროექტის ინიციატივის გამოკვლევა, რადგან აღნიშნული პოლიტიკური პლატფორმა, სამომავლოდ მთელი რიგი საერთაშორისო დონის იურიდიული პასუხისმგებლობის აღებისკენ მოუწოდებს სახელმწიფოებს, როგორც უსაფრთხოების დარგში, ამასთანავე სხვადასხვა პოლიტიკურ და ეკონომიკურ სფეროებში, რამაც შესაძლოა რეგიონში 3+3 პლატფორმაში მონაწილე დიდ სახელმწიფოთა მხრიდან რბილი ძალისა და გავლენების გაზრდა გამოიწვიოს, ხოლო მოცემული შესაძლოა არ აღმოჩნდეს პოლიტიკური სარგებლის მომტანი უშუალოდ სამხრეთ კავკასიაში მყოფი ქვეყნებისთვის.

რეგიონში არსებული არასტაბილური გეოპოლიტიკური გარემოს სტაბილიზაცია, დამოკიდებულია ქვეყნებს შორის არსებულ თანამშრომლურ საგარეო პოლიტიკურ კავშირებზე. თუმცა აღნიშნული არ გულისხმობს, რომ რეგიონში მყოფი ქვეყნები, ვალდებულები არიან გაწევრიანდნენ ყველა ტიპის პოლიტიკურ თუ სამშვიდობო პლატფორმაში, სადაც მაგალითად, მონაწილე ქვეყნების სახელმწიფო ინტერესი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება და არ იქნება რელევანტურად დაცული, ან თუ შეიმჩნევა დიდ სახელმწიფოთა მხრიდან, რეგიონში რბილი ძალის გამოყენების და გავლენების ზრდის მკაფიო ალბათობა, რადგან საერთაშორისო სამთავრობოთშორისო ორგანიზაციები ყოველთვის დაარსებულია იმ ქვეყნების მიერ, რომლებიც მრავალმხრივ შეთანხმებებაში შესვლას ახდენენ მათი ეროვნული ინტერესებით. (Wilkinson, 2007)

ამასთანავე რეგიონალური დონის თანამშრომლობა შესაძლოა, გაფართოვდეს საერთაშორისო საგარეო ურთიერთობებით, რაც ცუდი არ არის, თუ რეგიონში მყოფი ადგილობრივი ქვეყნების სახელმწიფო ინტერესები მკაფიოდ იქნება განსაზღვრული.

კავკასიის სტაბილურობის პაქტის თაობაზე, ოფიციალური ანკარას წარმომადგენლის მხრიდან, პირველი შემოთავაზება 2008 წელს გაჟღერდა იგი მოიაზრებდა 3+2 სახელმწიფოთა გაერთიანებას, ხოლო ახალი - 2020 წლის პლატფორმის იდეა მოიცავს 3+3 სახელმწიფოთა გაერთიანებას (დაემატა ირანი) და საგარეო თანამშრომლობას: უსაფრთხოების, ეკონომიკის, სატრანსპორტო თუ სხვა რეგიონალური დონის პოლიტიკასთან მიმართებით.

საინტერესოა რუსეთის ფედერაციის დამოკიდებულებები კავკასიის სტაბილურობის პაქტის თავდაპირველ ინიციატივასთან (2008) მიმართებით და შემდგომ უკვე ახალ 3+3 პოლიტიკური პლატფორმისადმი. (რომელიც ერთი შეხედვით მიზნობრივი საგარეო პოლიტიკით, რუსეთის მხრიდან ემსახურება სამხრეთ კავკასიის რეგიონში თურქული გავლენების და მისი რბილი ძალის შემცირებას)

თავდაპირველი პლატფორმის შექმნის იდეის თაობაზე შემოთავაზება ოფიციალური ანკარას მიერ, რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომის შემდეგ, 2008 წელს გაჟღერდა, მაგრამ ერთის მხრივ, აღნიშნული სამშვიდობო იდეა "უცნაური" აღმოჩნდა ოფიციალური მოსკოვისთვის, იმდენად, რამდენადაც „სახელმწიფოსათვის, რომლისთვისაც მიუღებელია თურქეთის ამბიციების რაიმე ფორმით სამხრეთ კავკასიის რეგიონში რეალიზება და იმპერიის აღდგენაზე ოცნებობს, უცნაურად ჟღერდა თურქეთის ეს ინიციატივა.", (მანჩხაშვილი, 2021) თუმცა სამხრეთ კავკასიის რეგიონალური უსაფრთხოების 2020 წლის შემოდგომაზე გაჟღერებული 3+3 ფორმატი, რუსეთის ფედერაციის მხრიდან ინტენსიური მხარდაჭერის და ჩართულობის ობიექტი გახდა, რაც როგორც აღინიშნა შესაძლოა რუსეთის ფედერაციის მხრიდან, სამხრეთ კავკასიაში თურქული რბილი ძალის რეალიზების პრევენციას ემსახურება. ასევე მოცემული აქტიური ჩართულობა, რომელიც ოფიციალური მოსკოვის მხრიდან 3+3 რეგიონალური პლატფორმისადმი ვლინდება შესაძლოა, გამომდინარეობდეს იქიდან, რომ რუსეთის ფედერაციას არ სურს რეგიონში თურქეთის მართო დატოვება და ეშინია სამხრეთ კავკასიის რეგიონში რაიმე სახის მქონე თურქული გავლენების და ზემოქმედების გაზრდის, რომელიც შესაძლოა აღნიშნული 3+3 პოლიტიკური პლატფორმით რეალიზდეს, შესაბამისად ოფიციალური მოსკოვი თავისი

ჩართულობით, (რეგიონალურ პლატფორმაში, სადაც იგი თურქული მხარის მიერ შემოთავაზებულ 3+3 პროექტში აქტიურ მონაწილეობას გამოავლენს) შეეცდება თურქეთის მიერ რეგიონში არსებული გავლენების გაზრდის სურვილის გაბათილებას. ამასთანავე საერთაშორისო პოლიტიკაში ცნობილია, (ასევე ვისაუბრეთ ნაშრომის შესავალ ნაწილშიც) რომ ოფიციალურ ანკარას გააჩნია ახალი საგარეო დიპლომატიური გეგმა, ხოლო 1990-იანი წლების ბოლოდან და 2000-იანი წლების დასაწყისიდან, თურქეთი ახალი საგარეო დიპლომატიის მიხედვით ახდენს მისი საგარეო პოლიტიკის მართვას, მათ შორისაა სამხრეთ კავკასიური პოლიტიკის ჭრილიც, რაც ასევე ინტერესთა კონფლიქტში მოდის რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკურ იდეოლოგიასთან.

3+3 რეგიონალური თანამშრომლობის ფორმატის ჩამოყალიბების იდეის თაობაზე თავდაპირველი განცხადება თურქეთის პრეზიდენტის მიერ, ყარაბაღის ომის დასრულების შემდეგ (2020 წელს) გახმოვანდა. მნიშვნელოვანია, რომ კავკასიის სტაბილურობის პაქტის - 3+3 რეგიონალურ პლატფორმის იდეამ, ბოლო ინიციატივამდე (2020 წლამდე) განიცადა ფორმირება, რადგან, როგორც აღვნიშნეთ პირველი რეგიონული სახელმწიფოთშორისი თანამშრომლობის ფორმატის შემოთავაზება, 3+2 პოლიტიკურ ფორმატს მოიცავდა. (ხუთ სახელმწიფოს) და მანაც ვერ პოვა საერთაშორისო პოლიტიკური რეალიზება.

სამხრეთ კავკასიის რეგიონისთვის შემოთავაზებულ უსაფრთხოების 2008 წლის თურქულ პროექტს, იმ დროისთვის აქტიურად დაუჭირა მხარი ოფიციალურმა ბაქომ. ასევე რეჯეფ თაიფ ერდოღანის (იმ პერიოდისთვის იგი იყო თურქეთის პრემიერ მინისტრი) ბაქოში ვიზიტის დროს, აზერბაიჯანის პრეზიდენტმა (ილჰამ ალიევი) „სრული ნდობა გამოუცხადა და მზადყოფნა აღუთქვა, ჩართულიყო ნებისმიერ დიალოგში, რომელსაც თურქეთი წამოიწყებდა. " (მანჩხაშვილი, 2021) აგრეთვე მოცემული 3+2 ფორმატის შემოთავაზების იდეა, როგორც აღვნიშნა 2008 წელს რუსეთ საქართველოს შორის არსებული ომის შემდგომ გაჟღერდა. თავდაპირველ შემოთავაზებაში (2008 წელი) პლატფორმაში ირანის ჩართულობა არ განიხილებოდა. და მხოლოდ სამხრეთ კავკასიაში

მყოფ სახელმწიფოებს - საქართველო; სომხეთი; აზერბაიჯანი და აგრეთვე სამხრეთ კავკასიის რეგიონს გარეთ მყოფ რუსეთის ფედერაციისა და თურქეთის მრავალმხრივ თანამშრომლობას მოიაზრებოდა. ამასთანავე თურქეთის საგარეო პოლიტიკამ დაიწყო რეგიონული „რბილი ძალის“ როლის მორგება, ხოლო ამისთვის, 2008 წლის საქართველო-რუსეთის აგვისტოს ომი, ოფიციალური ანკარასთვის კატალიზატორი აღმოჩნდა, რათა მოეხდინა მოცემულზე უშუალო პროაქტიური სწრაფვა და მისი ახალი პოლიტიკის კონტექსტის რეალიზება, რაც “რბილი ძალის” გამოყენებასთან ერთად “ნულოვანი პრობლემები მეზობლებთან“ და "რიტმული დიპლომატიის". თვალსაზრისს გულისხმობს. (Fotiou, 2009)

2020 წელს თურქეთის პრეზიდენტის, რეჯეფ თაიფ ერდოღანის რეგიონალური პოლიტიკური პლატფორმის იდეას დაემატა ირანიც და რეგიონალური უსაფრთხოების სახელმწიფოთშორისი გაერთიანების ინიციატივა ფორმირდა, როგორც 3+3 ფორმატის იდეა, მოცემულ დამატებასთან დაკავშირებით გამოკვლევას განვაგრძობთ შემდეგ თავებში.

1.2. 3+3 პლატფორმა და პირველი შეხვედრები მოსკოვში

რეგიონალურ დონეზე პოლიტიკური ურთიერთობების წარმართვა, იმ რელევანტური გზების ფორმირებით უნდა მოხდეს, რომელიც ფორმატში მონაწილე სახელმწიფოთა უსაფრთხოების სფეროსთან არსებულ, შესაბამის პრობლემურ საკითხთა მოგვარებისკენ იქნება მიმართული. აქედან გამომდინარე, აღნიშნულ თემასთან მიმართებით მნიშვნელოვანია, სამხრეთ კავკასიის რეგიონისთვის შემოთავაზებულ 3+3 პოლიტიკურ პლატფორმისთან დაკავშირებული დეტალების სპეციფიკა და მასთან არსებული საკითხების კონკრეტული გამოკვლევა.

რეგიონალურ დონეზე არსებული უსაფრთხოების პრობლემები, რომელიც სამხრეთ კავკასიაში იჩენს თავს, საშუალებას იძლევა, მოხდეს ქვეყნებს შორის სამშვიდობო პოლიტიკური პლატფორმის შექმნის თაობაზე ინიციატივების გააღწერება. ზოგადად სახელმწიფოთა შორის თანამშრომლური ძალისხმევის გამოვლენა უაღრესი მნიშვნელობის მქონეა. თუმცა საერთაშორისო დონის პოლიტიკური პლატფორმის განხორციელებისას, ლოკალურ დონეზე უნდა მოხდეს რეგიონში მყოფი თითოეული სახელმწიფოს ინტერესის გამოვლენა, ამასთანავე რეგიონში მიმდინარე გეოპოლიტიკური თანამშრომლობის პერიოდში, ყველა ადგილობრივი სახელმწიფოს პოლიტიკური პოზიცია მკაფიოდ უნდა იქნას, როგორც განსაზღვრული, აგრეთვე ლეგიტიმურად დაცული.

სამაგისტრო თემის სტრუქტურული კვლევისთვის და რეგიონში არსებული დამაბული გეოპოლიტიკიდან გამომდინარე, საინტერესოა კავკასიის სტაბილურობის პაქტის, ახალი ბოლოდროინდელი 3+3 პოლიტიკური პლატფორმის ინიციატივის გამოძიება, რომელის განხორციელების შესახებ განხილვები მიმდინარეობს, როგორც რეგიონალურ დონეზე, ამასთანავე პროექტში მონაწილეობისთვის განსაზღვრულ სახელმწიფოთა, შიდა პოლიტიკის დღის წესრიგში.

აგრეთვე კავკასიის სტაბილურობის პაქტის, 3+3 პოლიტიკურ ინიციატივასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია, მოხდეს მოცემულ ფორმატთან მიმართებით, რეგიონში

არსებული სახელმწიფოთშორისი უსაფრთხოების და პროექტში მონაწილეობისთვის განსაზღვრულ სახელმწიფოთა ინტერესების განხილვა. სადაც ანგარიშგასაწევია ეროვნული უსაფრთხოების პრობლემები სამხრეთ კავკასიაში.

1. ტერიტორიული პრობლემები და ეროვნული უსაფრთხოების საკითხი სამხრეთ კავკასიაში

2. მთავარი გეოპოლიტიკური მოთამაშეები და ეროვნული უსაფრთხოების საკითხი სამხრეთ კავკასიაში

საკვლევი საკითხის და სამაგისტრო ნაშრომის საკვლევი ჩარჩოს შესაბამისად მოვახდინეთ კავკასიის სტაბილურობის პაქტის - 3+3 პოლიტიკური პლატფორმის შესახებ არსებული თემის გამოკვლევა, რომელიც რეგიონალური უსაფრთხოების ფორმირების სირთულეს მოიცავს. 3+3 პლატფორმის შექმნის ინიციატივა წარმოადგენს თურქეთის პრეზიდენტის შემოთავაზებას, რათა მოხდეს სამხრეთ კავკასიის რეგიონში მიმდინარე რეგიონული უსაფრთხოების თანამშრომლობის ჩამოყალიბება, რომელშიც შემავალი იქნება 6 სახელმწიფო.

მოცემული სახელმწიფოთშორის ურთიერთობათა საკითხებზე მომუშავე, 3+3 ფორმატის იდეა, 2020 წლის შემოდგომაზე მას შემდეგ გაჟღერდა, რაც სამხრეთ კავკასიაში მიმდინარე კონფლიქტის (ყარაბაღის ომის) თაობაზე, მოსკოვში ახალი შეთანხმება გაფორმდა. ხოლო 2008 წლის ინიციატივისგან განსხვავებით, რომელიც 3+2 ფორმატს (5 სახელმწიფოს) მოიცავდა, ახალი შემოთავაზება ფორმირდა ექსპერტების სახით და როგორც ითქვა დაემატა ირანი. რეგიონალური თანამშრომლობის იდეა მიმართული იქნება უსაფრთხოების სფეროსთან არსებულ თემებზე, ამასთანავე მოიაზრებს სატრანსპორტო და ეკონომიკურ საკითხებზე მუშაობას.

რუსეთის ფედერაცია და ირანული მხარე მიესალმებიან 3+3 პლატფორმის შემოთავაზებულ იდეას, ხოლო თავდაპირველ ეტაპზე ოფიციალური ერევანი თურქეთ-აზერბაიჯანული ფაქტორის გამო, სკეპტიკურად უყურებდა მოცემულ გაერთიანების ინიციატივას.

როგორც აღვნიშნეთ, მოცემული პლატფორმის შექმნის შემოთავაზებით კვლავ რეჯეფ

თაიფ ერდოღანი გამოვიდა, რომელიც 2008 წელს თურქეთის პრემიერ მინისტრის მანდატის ქვეშ მოქმედებდა, ხოლო 2020 წლის ინიციატივის პერიოდში ის თურქეთის პრეზიდენტის უფლებამოსილებით განაგრძობს მუშაობას. მისი შემოთავაზებით, 3+3 რეგიონალურმა ფორმატმა უნდა გააერთიანოს სამხრეთ კავკასიაში მყოფი 3 სახელმწიფო - საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი, და 3 სამხრეთ კავკასიის რეგიონის მეზობლად მყოფი ქვეყანა - რუსეთის ფედერაცია, ირანი და თურქეთი.

ოფიციალური ანკარას მიერ მოცემული 3+3 იდეის გაჟღერება კვლავ მოხდა თურქეთის პრეზიდენტის ბაქოში ვიზიტის პირობებში, რომელიც 2021 წლის ივნისში გაიმართა. რეჟეფ თაიფ ერდოღანმა კვლავ აღნიშნა, რომ, მისი აზრით, სამხრეთ კავკასიის რეგიონალური მშვიდობიანი გარემოს დამყარება შესაძლებელი არის აღნიშნული კოოპერაციის საშუალებით.

ხოლო, პირველი შეხვედრა გაიმართა ოფიციალურ მოსკოვში, რომელიც 3+3 პოლიტიკური ფორმატის თანამშრომლობის ფორმირების თაობაზე წარიმართა, (2021 წლის 10 დეკემბერს) რომელსაც საქართველოს სახელმწიფო არ ესწრებოდა.

როგორც მოსკოვში დაგეგმილ შეხვედრამდე საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში ოფიციალურად აცხადებდნენ, 10 დეკემბრის სხდომაში ოფიციალური თბილისი მონაწილეობას არ მიიღებდა, ასევე საგარეო უწყების მიერ აღინიშნა, რომ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ე.წ. 3+3 რეგიონალურ თანამშრომლობის იდეაზე მკაფიოდ აფიქსირებს მის პოზიციას, რაც ამასთანავე გამოიხატებოდა საპარლამენტო მოსმენაზე საგარეო საქმეთა მინისტრის გამოსვლაში, როცა მან განიხილა და ისაუბრა აღნიშნული თემა. აგრეთვე საგარეო უწყების ოფიციალურ განაცხადში მოცემული იყო: „ჩვენ არ განვიხილავთ აღნიშნულ ფორმატში მონაწილეობას და შესაბამისად, მიმდინარე წლის 10 დეკემბერს დაგეგმილ შეხვედრაზე საქართველო არ იქნება წარმოდგენილი“, (საქართველომ არაერთხელ დააფიქსირა პოზიცია ე.წ. 3+3 ფორმატზე, შესაბამისად, 10 დეკემბრის შეხვედრაზე საქართველო წარმოდგენილი არ იქნება, 2021)

მოცემული ხასიათის მქონე სხვადასხვა განცხადება კეთდებოდა ოფიციალური თბილისი

მხრიდან, სადაც დაფიქსირდა 3+3 რეგიონალური პლატფორმის შეხვედრის თაობაზე არსებული პოზიციები, ასევე მოსკოვში 2021 წლის 10 დეკემბრის პირველი თათბირისა და მასზე დასწრების შესახებ საქართველოს სახელმწიფოს უარის თქმის თაობაზე, - საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტროს ოფიციალური უწყების მხრიდან გავრცელდა კონკრეტული პოზიციები.

მოსკოვში ჩატარებულ პირველ სხდომას ესწრებოდნენ, რეგიონალური 3+3 პლატფორმის ფორმატის მონაწილე 5 სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრთა მოადგილეები (მოსკოვიდან, თეირანიდან, ბაქოდან, ერევანიდან, ანკარადან)

„შეხვედრა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეების თავმჯდომარეობით გაიმართა.“ (South Caucasus "3+3" Cooperation Platform Holds First Meeting , 2021) მომდევნო შეხვედრების თაობაზე მიმდინარე წლის მოცემულ პერიოდშივე, თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა (მევლუთ ჩავუშოღლუ) განაცხადა, რომ სამომავლო შეხვედრის სავარაუდო ადგილად შესაძლოა თურქეთი დასახელებულიყო, ამასთანავე ოფიციალური ანკარას საგარეო უწყების მთავარმა წარმომადგენელმა დაურთო, რომ ანკარა იმედოვნებს, რომ საქართველოც დაესწრება მომავალ შეხვედრას. (Georgia rebuffs to attend next 3+3 Caucasus platform meeting, 2022) მოცემულთან მიმართებით განცხადება გააკეთა საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩმა თურქეთში და განმარტა, რომ საქართველო არ მიიღებს მონაწილეობას 3+3 სამხრეთ კავკასიის პლატფორმის მომავალ შეხვედრებშიც, რომელიც იმ დროისთვის იგეგმებოდა, რათა თურქეთში გამართულიყო. (Georgia rebuffs to attend next 3+3 Caucasus platform meeting, 2022)

საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩმა თურქეთის სახელმწიფოში, ასევე „ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველოს სახელმწიფო, თურქეთსაც და აზერბაიჯანსაც „სტრატეგიულ პარტნიორობად“ უყურებს და სომხეთს „ისტორიულ და კარგ მეზობლად“ განიხილავს, მაგრამ რუსეთი არის ქვეყანა, რომელსაც აქვს ოკუპირებული საქართველოს ტერიტორიის 20%.“ (Georgia rebuffs to attend next 3+3 Caucasus platform meeting, 2022)

აღსანიშნავია, რომ სანამ მოსკოვში 3+3 ფორმატის ფარგლებში პირველი შეხვედრა (2021 წლის, 10 დეკემბერს) გაიმართებოდა, 2021 წლის 3 მარტს, ანკარაში ოფიციალური

ვიზიტის ფარგლებში, იმყოფებოდა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი და მან შეხვედრა გამართა მის კოლეგასთან, თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრ მევლუთ ჩავუშოღლუსთან. “შეხვედრის შემდეგ მინისტრებმა ერთობლივი პრესკონფერენცია გამართეს.“ (Meeting of Foreign Minister Mevlut Cavusoglu with Vice Prime Minister and Foreign Minister David Zalkaliani of Georgia, 2021) პრესკონფერენციაზე ორი ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტრო უწყების მთავარმა წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ შეხვედრა, ამასთანავე შეეხო 3+3 პლატფორმის იდეას.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ თურქული მხარის მიერ მოხდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისადმი მხარდაჭერის გამოცხადება, გარდა ამისა, საგარეო საქმეთა მინისტრის (მევლუთ ჩავუშოღლუ) განცხადებით, 3+3 ფორმატთან მიმართებით, თურქეთისთვის გასაგებია საქართველოს ფრთხილი პოზიცია და რუსეთთან მჭიდრო თანამშრომლობაში შესვლის თაობაზე უარი, თუმცა, მისი აზრით, რუსეთსა და საქართველოს შორის ორმხრივი მოლაპარაკებების დაწყება, უფრო მარტივი იქნება მრავალმხრივი ფორმატის პირობებში. (იგულისხმება 3+3 რეგიონალური პლატფორმის იდეის გავლით) მან განაცხადა, - ჩვენ გვესმის საქართველოს ფრთხილი მიდგომა ამ საკითხებთან დაკავშირებით ასეთი მძიმე გარემოებების ფონზე, ვგულისხმობ აფხაზეთს და სამხრეთ ოსეთს. ამ საკითხზე მოლაპარაკებების დაწყება პირდაპირ ორმხრივ ფორმატში შეიძლება რთული იყოს, თუმცა შესაძლოა უფრო მარტივად განხორციელდეს მრავალმხრივ ფორმატში. ჩვენ პატივი უნდა ვცეთ საქართველოს პოზიციას ამ საკითხთან დაკავშირებით. (We should respect Georgia's stance on 3+3 format:, 2021)

1.3. თბილისისა და მოსკოვის პოზიციები

ოფიციალური თბილისის პოზიცია, რეგიონალური გაერთიანების 3+3 პლატფორმის საკითხზე, საქართველო-რუსეთის ორმხრივი დიალოგის პირობებშიც დაფიქსირდა, ხოლო მოცემული ეხება "აბაშიძე-კარასინის" ეგრეთ წოდებულ "არაფორმალურ დიალოგის" ფარგლებს.

2021 წლის 24 ნოემბერს, ქართულ-რუსული არაფორმალური დიალოგის ფარგლებში გაიმართა რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობის საკითხებში საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენლის, ზურაბ აბაშიძის შეხვედრა რუსეთის ფედერალური სათათბიროს ფედერალური საბჭოს საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარესთან, გრიგორი კარასინთან. შეხვედრაში ასევე მონაწილეობა მიიღეს ორი ქვეყნის საგარეო და სატრანსპორტო უწყებების წარმომადგენლებმა. (ზურაბ აბაშიძის და გრიგორი კარასინის მორიგი შეხვედრა ონლაინ-ფორმატში გაიმართა , 2021) მოცემულ შეხვედრაზე მოსკოვი დაინტერესდა 3+3 ფორმატის თაობაზე ოფიციალური თბილისის დამოკიდებულებით, „რაზეც ზურაბ აბაშიძემ ხაზგასმით განაცხადა, რომ აღნიშნულ ინიციატივაში მონაწილეობას ქართული მხარე არ განიხილავს“. (ზურაბ აბაშიძის და გრიგორი კარასინის მორიგი შეხვედრა ონლაინ-ფორმატში გაიმართა , 2021)

ამასთანავე საინტერესოა, საქართველოში არსებული განხილვები რუსეთის ფედერაციასთან ერთად 3+3 ფორმატში მონაწილეობის თაობაზე, იმ კონტექსტში, როდესაც საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური წარმომადგენლის განცხადების თაობაზე წარმოიშვა კითხვები. მოცემულთან მიმართებით საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური უწყება არ ადასტურებდა, იმ გავრცელებული ინფორმაციას, რომელიც საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მიმართ განიხილებოდა და შეეხო განცხადებას, რაც 2021 წლის 7 ოქტომბერს გაკეთდა. როგორც ანალიტიკოსები მიიჩნევენ კრიტიკის ობიექტი და ბუნდოვანება ჩნდებოდა მინისტრის შემდეგ განცხადებაში, რომელიც მოიცავდა 3+3 რეგიონალურ თანამშრომლობაში საქართველოს "რადაც ფორმით" ყოფნის წინადადებას. აღნიშნულთან

დაკავშირებით, საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა უწყებამ კვლავ გაავრცელა განცხადება და დააკონკრეტა, რომ საქართველოს სახელმწიფოს საგარეო უწყების მთავარი ოფიციალური წარმომადგენლის მხრიდან, განცხადებაში არ გამოთქმულა 3+3 პოლიტიკური პლატფორმის მხარდაჭერითი განცხადება.

ამასთანავე საგარეო საქმეთა სამინისტრომ განცხადებას დაურთო, საგარეო უწყების პოზიცია და მინისტრის ის განცხადება, რომელიც ოკუპირებულ ტერიტორიებს ეხება სადაც გამოთქულია, რომ ოკუპანტ სახელმწიფოსთან ერთად ფორმატში მონაწილეობის მიღება გაჭირდება, ასევე მოცემულს, თან ერთვის იმ ვითარების გათვალისწინება, რომლის მიხედვითაც არ შეიძლება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების საკითხზე არსებულ პრობლემასთან მიმართებით, დეოკუპაციისკენ გადადგმული რაიმე სახის მქონე ნაბიჯი, აღნიშნულ თემასთან მიმართებით საგარეო საქმეთა მინისტრის მხრიდან გაქდერდა, რომ ძალიან რთულია მოცემულ 3+3 რეგიონალურ ფორმატში დაჯდომა და სხვადასხვა სახის მქონე საერთო პროექტების განხილვა, „-თუმცა, მიინდა, საზოგადოებას ფიქრისთვის მივაწოდო ასეთი პოზიცია – ამ დიდ გეოპოლიტიკურ პროექტებში და ურთიერთობებში ჩვენ რაღაც ფორმით მაინც უნდა ვიყოთ, რა თქმა უნდა, არა სახელმწიფო ინტერესების და ოკუპანტთან რაღაცის დათმობის ხარჯზე.“ (საქართველო არ განიხილავს რუსეთის ფედერაციასთან ერთად 3+3 ფორმატში მონაწილეობას - საგარეო საქმეთა სამინისტრო , 2021)

საქართველოს საგარეო უწყების მთავარი წარმომადგენელი, ამასთანავე შეეხო ქვეყნის სახელმწიფოებრივ ინტერესებს და რეგიონალურ პროექტებში ჩართულობის აუცილებლობას, სადაც განაცხადა, რომ აუცილებელი ხასიათის მქონეა, რათა საქართველო არ ჩამორჩეს იმ მიმდინარე პროცესებს, რომელიც რეგიონალურ დონეზე განვითარდება, ასევე რეგიონში არსებულ ახალ პროექტებთან მიმართებით მონაწილეობის მიღება და ჩართულობა მნიშვნელოვანია, ისეთ საკითხებშიც, რომელსაც ინფრასტრუქტურული ხასიათი გააჩნია და მოსალოდნელია, რომ ქვეყანას ასცდეს, რომლითაც შესაძლოა სამხრეთ კავკასიის რეგიონში საქართველომ დაკარგოს მისი

რეგიონალური როლი და ფუნქცია. ამასთანავე საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პოზიციით, „-აქ ძალიან მნიშვნელოვანია, ზუსტი პოზიცია გვექონდეს, იმისთვის, რომ ჩვენი ქვეყნის ინტერესები არ დაზიანდეს. (საქართველო არ განიხილავს რუსეთის ფედერაციასთან ერთად 3+3 ფორმატში მონაწილეობას - საგარეო საქმეთა სამინისტრო , 2021)

აგრეთვე საქართველოს საგარეო უწყების ოფიციალურად გავრცელებულ განმარტებაში მოცემული იყო, განცხადების ის ნაწილი, სადაც საუბარია 3+3 რეგიონალურ პლატფორმაში საქართველოს ჩართულობის შესახებ არსებულ „წითელ ხაზებზე“ და სახელმწიფო ინტერესის მნიშვნელობაზე. ეს წითელი ხაზები პირდაპირ დაკავშირებულია და ეხება ქვეყნის სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას. (საქართველო არ განიხილავს რუსეთის ფედერაციასთან ერთად 3+3 ფორმატში მონაწილეობას - საგარეო საქმეთა სამინისტრო , 2021)

აგრეთვე საინტერესოა, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის განცხადება. მისი თქმით საქართველოს ხელისუფლების მიერ მხარდაჭერილია რეგიონში არსებული უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის მიმართული სამშვიდობო პროექტების ჩამოყალიბების იდეები, სადაც მონაწილეობას პირველრიგში მიიღებენ უშუალოდ სამხრეთ კავკასიაში მყოფი სახელმწიფოები (საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი), მოცემულთან მიმართებით საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ 2021 წლის 27 იანვარს, განაცხადა რომ აღნიშნული სამხრეთ კავკასიის რეგიონში მყოფი სახელმწიფოების ლოკალური ჩართულობა, „-რეგიონული პროექტებისა და თანამშრომლობის განვითარების საწინდარია.“ (საქართველო ვერ იქნება ჩართული იმ სამშვიდობო პლატფორმაში, სადაც ოკუპანტი ქვეყანა მონაწილეობს, 2021)

აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო მხარს უჭერს იმ გრძელვადიანი თანამშრომლობების ფორმირებას და განხორციელებას, რომელიც საერთაშორისო პოლიტიკური მიზნობრიობის კუთხით მიზნად ისახავს, როგორც რეგიონალური უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფას, ამასთანავე საერთაშორისო

სამშვიდობო პლატფორმების შექმნას. თუმცა, აღნიშნულთან მიმართებით საქართველოს საგარეო უწყების ოფიციალური წარმომადგენლების მხრიდან ხდება განცხადების გაკეთება იმის თაობაზე, რომ „საქართველო ვერ იქნება ჩართული იმ სამშვიდობო პლატფორმაში, სადაც საქართველოს ტერიტორიების ოკუპანტი ქვეყანა მონაწილეობს“. (საქართველო ვერ იქნება ჩართული იმ სამშვიდობო პლატფორმაში, სადაც ოკუპანტი ქვეყანა მონაწილეობს, 2021)

გარდა ამისა, მოცემულზე, აგრეთვე საგარეო პოლიტიკის ანალიტიკოსები მიიჩნევენ, რომ რუსეთთან დაძაბული ურთიერთობის პირობებში, რთული წარმოსადგენია საქართველოს სახელმწიფოს მონაწილეობა იმ პროექტში, რომელშიც ასევე ოკუპანტი სახელმწიფო იქნება წარმოდგენილი.

თუმცა მიუხედავად იმისა, რომ საქართველო არ იღებს მონაწილეობას 3+3 პლატფორმაში, იგი მაინც მონაწილეა რეგიონში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების. “საქართველო, მისი გეოგრაფიული როლის გათვალისწინებით, ბუნებრივი მონაწილეა იმ თანამშრომლობითი პროექტების, რაც რეგიონში ხორციელდება და შესაძლოა განხორციელდეს.“ (რატომ ჩამოდის ირანის საგარეო საქმეთა მინისტრი საქართველოში , 2021)

ოფიციალური მოსკოვი სხვანაირად ფიქრობს, რადგან ოკუპაციის საკითხი და საერთო მრავალმხრივ სახელმწიფოთშორის გაერთიანებაში, საქართველო-რუსეთის ერთობლივი ჩართულობა (3+3 ექვსეულის რეგიონალური პლატფორმის გავლით საერთო თანამშრომლობა) ოკუპირების პირობებში მოსკოვისთვის პოლიტიკურად დისკომპორტული არ არის.

იმდენად, რამდენადაც რუსეთის ფედერაციის საგარეო უწყების მთავარი სახელმწიფო წარმომადგენელი (სერგეი ლავროვი), საქართველოს სახელმწიფოს დიად ურჩევს, 3+3 პლატფორმაში მონაწილეობის მიღებას, ამასთანავე, მისი აზრით, რაც უფრო მეტი ურთიერთობის შესაძლებლობა არსებობს, „მით უფრო უკეთაა შესაძლებელი დარჩენილ პრობლემათა მოგვარება“. (Foreign Minister Sergey Lavrov's

remarks and answers to media questions at a news conference on Russia's foreign policy performance in 2021, Moscow, January 14, 2022, 2022)

რუსეთის სახელმწიფო მოღვაწემ და საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა, 2022 წლის 14 იანვარს გამართულ პრესკონფერენციაზე, 3+3 პლატფორმაში საქართველოს სახელმწიფოს ჩართულობაზე კვლავ ისაუბრა. მან შემდეგი პასუხი გასცა პრესკონფერენციაზე წამოჭრილ კითხვას, რომელიც ეხებოდა ანკარას და მოსკოვის ძალისხმევას და მოიცავს სამხრეთ კავკასიაში სტაბილურობის უზრუნველყოფის მიზნით გაჟღერებული ინიციატივის ფორმირებისთვის საჭირო თანამშრომლობის გაგრძელებას, „-მოცემული მიზნისთვის ამოქმედდა სამხრეთ კავკასიის თანამშრომლობის 3+3 პლატფორმა, თუმცა საქართველო პლატფორმას ჯერ არ შეუერთდა. გააკეთებს თუ არა რაიმეს რუსეთი, საქართველოს ამ ფორმატში ჩართვის ხელის შეწყობისთვის?“ (Foreign Minister Sergey Lavrov's remarks and answers to media questions at a news conference on Russia's foreign policy performance in 2021, Moscow, January 14, 2022, n.d.)

აღნიშნულ კითხვაზე სერგეი ლავროვმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ 3+3 რეგიონალური პლატფორმისთვის, პირველივე დღეებში მიმდინარე განხილვიდანვე და მოსკოვში გამართულ შეხვედრის მზადებისთანავე (იგულისხმება 2021 წლის, 10 დეკემბრის შეხვედრა) ის მხარს უჭერდა, რათა 3+3 ფორმატის განხილვის პროცესში მომხდარიყო ქართველი მეზობლების ჩართულობაც, „-მე ვუჭერდი მხარს, რომ ამასთანავე ჩვენ ქართველ მეზობლებსაც მიეღოთ მონაწილეობა პროცესში, რადგან ურთიერთობისთვის, რაც უფრო ბევრი შესაძლებლობა არსებობს, მჯერა, რომ მით უფრო უკეთაა შესაძლებელი დარჩენილ პრობლემათა მოგვარება“. (Foreign Minister Sergey Lavrov's remarks and answers to media questions at a news conference on Russia's foreign policy performance in 2021, Moscow, January 14, 2022, n.d.) აგრეთვე სერგეი ლავროვმა ახსენა, საქართველოს და რუსეთს შორის მიმდინარე ურთიერთობების ეგრეთ წოდებული “არაოფიციალური ორმხრივი არხი“, სადაც საქართველოს

სახელმწიფო და რუსეთი “აბაშიძე-კარასინის“ პრადის შეხვედრების ფორმატის ფარგლებში ურთიერთობენ, ამასთანავე ორი სახელმწიფოს ოფიციალური წარმომადგენელი 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ „ქენევის დისკუსიების ფარგლებშიც“ კონტაქტობენ. თუმცა როგორც რუსეთის საგარეო უწყების ოფიციალური წარმომადგენელი მიიჩნევს, 3+3 პლატფორმაში მიმდინარე პროცესი მეტად მნიშვნელოვანია. აგრეთვე რუსეთის ფედერაციის საგარეო უწყების ოფიციალურმა წარმომადგენელმა (სერგეი ლავროვმა) განაცხადა, რომ 3+3 რეგიონალურ პროექტში საქართველოს სახელმწიფოს მისი ჩართულობით და მონაწილეობით, არ მოუწევს იმგვარი ვალდებულებების აღება, რაც მის პოლიტიკურ პოზიციას შეეხება. (Foreign Minister Sergey Lavrov’s remarks and answers to media questions at a news conference on Russia’s foreign policy performance in 2021, Moscow, January 14, 2022, n.d.) გარდა ამისა მან განაცხადა, რომ მოსკოვს გააჩნია ნაკლები შესაძლებლობა იმისათვის, რომ რუსეთის საგარეო უწყებამ მოახდინოს განმარტება იმის თაობაზე, თუ რატომ არის 3+3 ფორმატი სარგებლიანი საქართველოსთვის. რადგან ორი სახელმწიფოს შორის 2008 წლის შემდეგ არ არსებობს დიპლომატიური ურთიერთობები. “ჩვენ ნაკლები შესაძლებლობა გვაქვს, ავუხსნათ ამ ფორმატის სარგებელი [ქართველ მეზობლებს]. ჩვენ ვთხოვეთ ჩვენს თურქ და აზერბაიჯანელ მეგობრებს (სომხეთსაც შეუძლია დახმარება), რომ ქართველი მეზობლებისთვის პროექტში გაწევრიანების პოტენციური სარგებელი აეხსნათ, როგორც მათთვის, ასევე ყველა ჩვენგანისთვის. ასევე [ქართველებს] ფორმატში გაწევრიანება არანაირად არ დაავალდებულებს რაიმე ვალდებულებით მათი პოლიტიკური მიდგომების კუთხით. - განაცხადა ლავროვმა. (Foreign Minister Sergey Lavrov’s remarks and answers to media questions at a news conference on Russia’s foreign policy performance in 2021, Moscow, January 14, 2022, 2022)

მოცემულზე, რაც შეეხება ბოლო პერიოდში არსებულ ინფორმაციას და მოვლენებს, აღსანიშნავია, რომ რუსეთის ფედერაციის საგარეო უწყების მთავარი წარმომადგენელი, სერგეი ლავროვი კვლავ იგივე პოზიციას აცხადებს.

2022 წლის ივნისის დასაწყისში, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი (სერგეი ლავროვი) წინა შეხვედრიდან რამდენიმე თვის შემდეგ, კვლავ შეხვდა თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრს (მეველეთ ჩავაშოღლუ), ხოლო შეხვედრის შემდგომ განიხილა 3+3 პლატფორმისთვის მომდევნო შეკრების ადგილი. ასევე კონფერენციაზე ლავროვის მხრიდან კვლავ დაფიქსირდა რუსეთის ფედერაციის ინტერესი, რათა 3+3 პლატფორმაში მოხდეს ოფიციალური თბილისის ჩართულობაც.

როგორც ზემოთ განვიხილეთ 3+3 პლატფორმის თაობაზე პირველი შეხვედრა მოსკოვში 2021 წლის 10 დეკემბერს გაიმართა, რომელში მონაწილეობაზეც უარი განაცხადა საქართველოს სახელმწიფომ. ხოლო მოსკოვში გამართულ პირველ შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო 3+3 პლატფორმაში მონაწილეობისთვის განსაზღვრულმა სხვა დანარჩენმა ხუთმა ქვეყანამ. (ოფიციალური მოსკოვიდან, ოფიციალური ანკარადან, ოფიციალური ერევანიდან, ოფიციალური ბაქოდან, ოფიციალური თეირანიდან)

თუმცა სერგეი ლავროვმა, 3+3 პლატფორმაში შემავალ (და ამავდროულად 3+3 პლატფორმის ინიციატორი ქვეყანა - თურქეთი) თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან ერთობლივი პრესკონფერენციის გამართვისას, თითქმის ნახევარი წლის შემდეგ, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, კვლავ განაცხადა, რომ იმედოვნებს საქართველოს სახელმწიფოს პროექტში ჩართულობას. მან დასძინა, რომ „ჩვენ მოსკოვში ჩავატარეთ პირველი შეხვედრა, ქართველ კოლეგებმა ვერ შეძლეს შეხვედრაში მონაწილეობა, მაგრამ ჩვენ ხაზს ვუსვამთ, რომ ყოველთვის მოხარული დავრჩებით ქართული მხარის მონაწილეობით. ხდება მომდევნო შეხვედრის მომზადება, ვიმედოვნებ უახლოეს მომავალში, უკვე შევძლებთ მის დაანონსებას.“ – განაცხადა სერგეი ლავროვმა.”

(Lavrov: South Caucasus '3+3' format 2nd meeting will take place in near future, 2022)

ასევე 3+3 პლატფორმის თაობაზე მოსკოვში ჩატარებული პირველი შეხვედრის შემდეგ (2021 წლის 10 დეკემბერს), რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს უწყების მიერ გამოაქვეყნდა განცხადება, სადაც გაჟღერდა, რომ 3+3 ფორმატში მონაწილე მხარეები მივიდნენ შეთანხმებამდე, რომ 3+3 პლატფორმის კარი საქართველოსთვის ყოველთვის ღია დარჩება.

მოცემული აღინიშნა მოსკოვში, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური უწყების მიერ გამართულ კონფერენციაზე. რომ საქართველოს მონაწილეობაზე საუბრისას, პლატფორმის პირველ სესიაზე 10 დეკემბერს, ყველა მონაწილემ, მათ შორის რუსეთმა, „ერთხმად გამოხატეს ინტერესი ამ ფორმატში საქართველოს მონაწილეობის თაობაზე, [ჩვენ] მივედით შეთანხმებამდე, რომ საქართველოს კარი ყოველთვის ღია რჩება.“ (Door for Georgia’s participation in 3+3 format always remains open — diplomat , 2021)

ასევე რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს უწყების ოფიციალურ განცხადებაში, რომელიც მოსკოვში 3+3 პლატფორმის თაობაზე პირველი შეხვედრის შემდეგ გაიმართა კონფერენციაზე ხელმეორედ კვლავ აღინიშნა, რომ სამხრეთ კავკასიის პლატფორმის, 3+3 პროექტის ყველა მონაწილე სახელმწიფო (აზერბაიჯანი, სომხეთი, რუსეთი, თურქეთი, ირანი), დაინტერესებულია ფორმატში საქართველოს მონაწილეობით, თბილისისთვის ფორმატში გაწევრიანების კარი ყოველთვის ღია რჩება.“ (Door for Georgia’s participation in 3+3 format always remains open — diplomat , 2021)

1.4.- თეირანის გეოპოლიტიკური გათვლები

3+3 რეგიონული თანამშრომლობის იდეით და ოფიციალური ანკარას ინიციატივის შემდეგ, პლატფორმაში ჩართულობის და მისი განხორციელების შესახებ ინტენსიურად დაინტერესდნენ პროექტში მოაზრებული დიდი სახელმწიფოები, რომლებიც გეოგრაფიულად სამხრეთ კავკასიის ფარგლებს გარეთ იმყოფებიან.

რუსეთის ფედერაციისა და ირანული მხარის მხრიდან დაიწყო “ქმედითი“ ნაბიჯების გადადგმა. როგორც განვიხილეთ რუსულმა მხარემ უმასპინძლა 3+3 რეგიონალური პლატფორმის პირველ შეხვედრას მოსკოვში (2021 წლის, 10 დეკემბერს), რომელზე დასწრების შესახებ უარი. 6 სახელმწიფოდან მხოლოდ ქართულმა მხარემ განაცხადა.

თუმცა აღსანიშნავია მკაფიოდ, რომ ოფიციალური თბილისის მხრიდან ამ კონკრეტულ 3+3 ფორმატში მონაწილეობაზე უარის განცხადება, მიზეზ-შედეგობრივად ვერ შეფასდება, როგორც ზოგადად კავკასიის რეგიონალური უსაფრთხოების საკითხების ჩართულობისადმი პასიური საგარეო პოლიტიკური კურსით/პოზიციით, რადგან როგორც ნაშრომშია განხილული, საქართველოს სახელმწიფოს გააჩნია აქტიური რეგიონალური და საერთაშორისო უსაფრთხოების საკითხებში არსებული თანამშრომლობების მრავალმხრივი გამოცდილება, ისევე როგორც ინტენსიური საგარეო დიპლომატიური ურთიერთობები, როგორც დასავლეთში, ამასთანავე აღმოსავლურ პოლიტიკურ სივრცეში.

აგრეთვე ოფიციალური თბილისი იჩენს ფრთხილ პოზიციას, რადგან საქართველოს სახელმწიფო რეგიონალური დამაბულობის ფონზე, გამოწვევის წინ დგას, რათა ქვეყნის სამხედრო ბუფერულ ზონად ქცევის თავიდან არიდება მოახდინოს. რომელიც გარდა შიდა არასტაბილური გარემოს შექმნისა, ამასთანავე უარყოფით ზეგავლენას მოახდენს საერთაშორისო სტაბილურობის საკითხებთან მიმართებით.

თუმცა საკითხთან მიმართებით მნიშვნელოვანია, გამოვიკვლიოთ 3+3 ფორმატში მონაწილეობის თანხმობის შესახებ სახელმწიფოთა გეოპოლიტიკური გათვლები და 3+3

პლატფორმისადმი დადებითი პოლიტიკური განწყობის მიზეზ-შედეგობრივი კავშირები. ამასთან დაკავშირებით ვისაუბროთ ანალიტიკოსთა შეფასებებზე, რომელიც 3+3 პლატფორმაში ოფიციალური თეირანის ჩართულობას და ინტენსიურ სამომავლო თანამშრომლობის სურვილს ეხება.

3+3 რეგიონალური პროექტის შემოთავაზების შემდეგ, ირანულმა საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა უწყებამ, პლატფორმაში შემავალ ყველა სახელმწიფოსთან აქტიური დიპლომატიური ვიზიტები დაგეგმა, რათა მოეხდინა 3+3 პროექტის “წახალისება“.

შესაბამისად 3+3 რეგიონული პლატფორმის იდეით ინტენსიურად დაინტერესდა ირანული მხარეც, ხოლო შემდგომ ამისა მათი საგარეო საქმეთა მინისტრი (იმ დროისთვის ჯავად ზარიფი), რეგიონალური თანამშრომლობისთვის გათვალისწინებულ დანარჩენ 5 სახელმწიფოს პირადად ეწვია.

საინტერესოა რა დგას მოცემული აქტიური დაინტერესების და 3+3 რეგიონალურ პლატფორმაში მონაწილეობის სურვილის უკან. რადგან როგორც ვიცით ირანის საგარეო საქმეთა უწყებამ 3+3 პოლიტიკური პლატფორმის ინიციატივის გაჟღერების შემდგომ, მალევე ყველა ქვეყანასთან ინტენსიური მუშაობა დაიწყო და მათი საგარეო უწყების ოფიციალური წარმომადგენლის მხრიდან, პროექტის თაობაზე დაინტერესების და მისი ხელშეწყობის მიზნით ვიზიტები გაიმართა (5 ქვეყანაში). სწორედ მოცემულთან მიმართებით არის საინტერესო, თუ რა დგას ირანული მხარის ასეთი ინტენსიური და გამოხატული მზარდი ინტერესის მიღმა, რომ (1) განხორციელდეს 3+3 რეგიონალური პოლიტიკური პლატფორმა და (2) მასში ითანამშრომლოს / ჩაერთოს ყველა სამხრეთ კავკასიაში მყოფ სახელმწიფოსთან ერთად.

მოცემულთან მიმართებით, ერთის მხრივ, შესაძლოა 3+3 პოლიტიკური პლატფორმის რეგიონული დონის თანამშრომლობით დაინტერესების მიღმა, ოფიციალური

თეირანის მხრიდან კავკასიის რეგიონალურ დონეზე, მისი გეოპოლიტიკური გავლენების გაზრდის სურვილი იდგას. რაშიც მას უსაფრთხოების ნაწილში 3+3 ფორმატში ინტენსიური მონაწილეობა დაეხმარება. გარდა ამისა, მოცემული 3+3 პლატფორმა ოფიციალურ თეირანს დასავლეთთან ურთიერთობის ნორმალიზებაშიც დაეხმარება. აგრეთვე, შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ საქართველოსთან ერთად ერთ პლატფორმაში ყოფნა ირანისთვის მომგებიანია, როგორც დასავლეთთან და ამერიკის შეერთებულ შტატებთან მოლაპარაკებების შუამავალი რგოლი, რადგან სამხრეთ კავკასიაში მყოფ 3 ქვეყნიდან, ყველაზე მჭიდრო ურთიერთობა დასავლურ საგარეო პოლიტიკასთან გააჩნია საქართველოს.

სადაც ოფიციალური თბილისი დასავლურ საგარეო უწყებებში და ამერიკის შეერთებულ შტატებთან წამოდგენილია დაბალანსირებული და თანამშრომლური საგარეო პოლიტიკის ურთიერთობებით, რაც, როგორც აღვნიშნეთ საშუამავლო რგოლით, ირანს დაეხმარება, რათა მოახდინოს დასავლეთთან ურთიერთობების ნორმალიზება. ამასთან მიმართებით მნიშვნელოვანია, განვიხილოთ ანალიტიკოსთა შეხედულებები, რომლებიც გამოყოფენ ირანის საგარეო პოლიტიკის სამოქმედო “ამოცანებს“, ხოლო მოცემული ამოცანების განხორციელებისთვის ირანმა შესაძლოა 3+3 პოლიტიკური პლატფორმა გამოიყენოს.

როგორც ვიცით რეგიონში ყარაბაღის მეორე ომის შემდეგ 2020 წელს ხელი მოეწერა, სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის ომის დასრულების თაობაზე შეთანხმებას, რომელიც ოფიციალური მოსკოვის დახმარებით განხორციელდა, რაც სამხრეთ კავკასიის რეგიონში ირანის მყოფე პოზიციაზე მიუთითებს, იმდენად რამდენადაც თეირანს არ ჰქონდა საკმარისი ძალა კონფლიქტის მსვლელობაზე გავლენა მოეხდინა როგორც სამხედრო, ასევე ეკონომიკური კუთხით. „ირანის ხელისუფლების მიერ წამოყენებული სამშვიდობო ინიციატივები უგულვებელყოფილი იყო რეგიონის ქვეყნების მიერ.“ (სამხრეთ კავკასიის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ ინიციატივებში კოლექტიური დასავლეთი მინიმალურ, ან საერთოდ არანაირ როლს

არ შეასრულებს, ინიციატივა რუსეთის, თურქეთის და ირანის ხელში იქნება, 2021) აგრეთვე, "რუსეთის ახალი სამშვიდობო მისია მთიან ყარაბაღში და ასწლიანი პერიოდის შემდეგ სამხრეთ კავკასიაში თურქი ჯარისკაცების დაბრუნება თეირანის მიერ აღქმნილია როგორც რეგიონში ქვეყნის ინტერესების შერყევა." (სამხრეთ კავკასიის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ ინიციატივებში კოლექტიური დასავლეთი მინიმალურ, ან საერთოდ არანაირ როლს არ შეასრულებს, ინიციატივა რუსეთის, თურქეთის და ირანის ხელში იქნება, 2021)

ამასთანავე, როგორც ექსპერტების ნაწილი მიიჩნევს, ზოგადად 3+3 პოლიტიკური პლატფორმის იდეა სამხრეთ კავკასიის რეგიონში ახალი წესრიგის ჩამოყალიბებისთვის მიმართული მცდელობაა, „სადაც რუსეთი, თურქეთი და ირანი ერთგვარი იერარქიული წესრიგის შექმნას შეეცდებიან, სადაც რუსეთის ჰეგემონობა უცილობელი იქნება, ხოლო თურქეთი და ირანი მაქსიმალურად შეეცდებიან თავისი გავლენის მომატებას." (სამხრეთ კავკასიის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ ინიციატივებში კოლექტიური დასავლეთი მინიმალურ, ან საერთოდ არანაირ როლს არ შეასრულებს, ინიციატივა რუსეთის, თურქეთის და ირანის ხელში იქნება, 2021)

ანალიტიკოსები მიიჩნევენ და მათი განმარტებით, მიუხედავად იმისა, თუ რამდენად რეალურია 3+3 პლატფორმის ამოქმედება, მოცემული რეგიონალური თანამშრომლობა ირანის ინტერესებში სრულად ჯდება და პასუხობს მის მიზანებს, რომელთა შორისაცაა:

„1) კავკასიის რეგიონში ირანის გავლენების გააქტიურება;

2) ომის შედეგების დაბალანსება;

3) ამერიკის სახელისუფლებო ცვლილებების ფონზე, ახალი საგარეო პოლიტიკისთვის მზადების მცდელობა;“ (რატომ ჩამოდის ირანის საგარეო საქმეთა მინისტრი საქართველოში , 2021)

კავკასიის რეგიონში ირანის გავლენების გააქტიურება - თავის მხრივ მოიცავს ირანის მხრიდან მოცემული 3+3 რეგიონალური ფორმატის გამოყენებას იმისათვის, რომ იგი სამხრეთ კავკასიაში მეტად გააქტიურდეს. „მითუმეტეს მაშინ, როდესაც ირანი ისედაც შეზღუდული იყო საკუთარ მოქმედებებში სამხრეთ კავკასიაში.“ (რატომ ჩამოდის ირანის საგარეო საქმეთა მინისტრი საქართველოში , 2021)

ომის შედეგების დაბალანსებაში - მოიაზრება რეგიონალურ დონეზე ოფიციალური თეირანის ჩართულობის დონის გააქტიურების ერთგვარი მცდელობა, რაც სამხრეთ კავკასიის რეგიონში წარმართული ყარაბაღის ომის გეოპოლიტიკური შედეგების, შედარებით დაბალანსების მცდელობითაა გამოწვეული. „მაშინ, როდესაც აზერბაიჯანი “დიდი გამარჯვებულია”, რუსეთი და თურქეთი “მცირე გამარჯვებულები” არიან, სომხეთი დამარცხებული, ირანიც შეგვიძლია “მცირე დამარცხებულად” მოვიაზროთ, რადგან ირანის ინტერესებში არანაირად არ შედის ძლიერი, გამარჯვებული აზერბაიჯანი.“ (რატომ ჩამოდის ირანის საგარეო საქმეთა მინისტრი საქართველოში , 2021)

ამერიკის სახელისუფლებო ცვლილებების ფონზე, ახალი საგარეო პოლიტიკისთვის მზადების მცდელობა - აღნიშნულ მიზანთან დაკავშირებულია სანქციების და ბირთვული პროგრამის საკითხი, რომლისთვისაც ოფიციალური თეირანის მხრიდან ეგრეთ წოდებული “პოსტ ტრამპული ეპოქისთვის“ უნდა მოხდეს მზადება, რადგან ამერიკის შეერთებულ შტატებში შეიცვალა პრეზიდენტის ადმინისტრაცია და ირანმა უნდა გაატაროს გარკვეული “დიპლომატიური სვლები“ ,

მზადებად, იმ თვალსაზრისით, რომ ჯერ უცნობია ახალი ადმინისტრაციის მკაფიო პოლიტიკა ირანთან მიმართებაში, თუ რა პოზიცია ექნებათ სანქციების მიმართულებით, ან ბირთვული პროგრამის კუთხით, მაგრამ არ არის გამორიცხული მნიშვნელოვანი ცვლილებები ვიხილოთ [ამერიკის საგარეო პოლიტიკაში], და აი ამ

ცვლილებებისთვის მზადების პროცესში უნდა დავინახოთ ირანის გააქტიურებაც. (რატომ ჩამოდის ირანის საგარეო საქმეთა მინისტრი საქართველოში , 2021)

ირანის ინტენსიური დაინტერესება 3+3 პლატფორმისადმი, გამოხატულია მის დიპლომატიურ ვიზიტებში.

ამასთანავე ირანის საგარეო საქმეთა მინისტრის შეხვედრებთან დაკავშირებით, როგორც ოფიციალური თეირანის საგარეო უწყების სპიკერმა განაცხადა, მინისტრი 3+3 ფორმატში შემავალ სახელმწიფოებთან, 2021 წლის 24 იანვარს დაიწყებდა რეგიონალურ ტურნეს.

საგარეო უწყების სპიკერის განცხადებით; ირანელი დიპლომატი, დელეგაციის ხელმძღვანელობით, ეწვევა აზერბაიჯანის რესპუბლიკას, რუსეთის ფედერაციას, სომხეთის რესპუბლიკას, საქართველოს რესპუბლიკას და თურქეთის რესპუბლიკას, სადაც ის შეხვდება მის კოლეგებს, და ამასთანავე, მოცემული სახელმწიფოების სხვა ოფიციალურ წარმომადგენლებს. (Foreign Minister Zarif to Visit Baku, Moscow, Yerevan, Tbilisi, Ankara , 2021) შეხვედრის განხილვის თემად, ირანის საგარეო საქმეთა სამინისტროს სპიკერმა კავკასიის რეგიონში მიმდინარე რეგიონალური სტაბილური გარემოს ხელშეწყობის გზების ძიების განხილვა დაასახელა.

ოფიციალური თეირანის პოზიცია, იქამდეც იქნა გამოთქმული სხვადასხვა განაცხადებებში, რომ თეირანი მხარს უჭერს თურქეთის პრეზიდენტის რეჯეფ თაიფ ერდოღანის 2020 წლის ნოემბერის წინადადებას, სამხრეთ კავკასიაში რეგიონული თანამშრომლობის მექანიზმის შექმნის შესახებ, რომელიც ფორმირდება 3+3-ის სახით, რეგიონის სამი ქვეყნის მონაწილეობით: აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს, და ასევე თურქეთის, ირანისა და რუსეთის მონაწილეობით. (3+3 group discuss situation in the Caucasus, 2021)

რეგიონალური ტურნეს ფარგლებში, თავდაპირველად ირანის საგარეო საქმეთა მინისტრი ეწვია აზერბაიჯანის რესპუბლიკას. აგრეთვე იმყოფებოდა მოსკოვში, სადაც შეხვედრა

გამართა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვთან, შემდგომ კი იგი საქართველოს ეწვია. ხოლო ოფიციალურ თბილისში შემდგარი შეხვედრებს შემდეგ, რეგიონალური ვიზიტის ფარგლებში ირანის საგარეო საქმეთა უწყების დიპლომატი ანკარაში გაემგზავრა.

პირველ რეგიონალურ ტურნეს დანიშნულების ადგილზე, როგორც ოფიციალურ ბაქოში პირადად ირანის საგარეო საქმეთა მინისტრის მხრიდან ითქვა, მისი მოგზაურობა შთაგონებული იყო „3+3“ ფორმულირებით, რომელიც განიხილება, როგორც ომის შემდგომი ახალი რეგიონალური ინტეგრაციის პლატფორმა - კავკასიის სამი ქვეყანა, პლუს რუსეთი, თურქეთი და ირანი. ვიღებ თქვენს წინადადებას "3+3" ფორმატზე და ვეწვევი ექვსივე ქვეყანას. (Iran seeks new role in post-war Caucasus, 2021) გარდა ამისა ირანის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებით იგი მოსკოვში, ანკარაში, თბილისში და ერევანში შეეცდება „3+3“ ფორმატის „საჭიროების“ შესახებ საუბარს და მოცემული პლატფორმის რეალობად გარდაქმნას, იქიდან გამომდინარე, რომ რეგიონალური თანამშრომლობა რეგიონში მყოფ ყველა სახელმწიფოს ინტერესშია, რაზეც, მისი აზრით მოცემული პლატფორმა პასუხობს.

ბაქოში ვიზიტის შემდეგ, 2021 წლის 26 იანვარს ირანელი დიპლომატი მოსკოვში გაემგზავრა, სადაც მისმა კოლეგამ სერგეი ლავროვმა, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა უმასპინძლა. მოსკოვში ჩასვლისთანავე ირანის საგარეო საქმეთა მინისტრმა აეროპორტში განაცხადა, რომ მისი მოგზაურობა აზერბაიჯანში, რუსეთში, სომხეთში, საქართველოსა და თურქეთში მიმდინარეობს 6 ქვეყანას შორის თანამშრომლობის და რეგიონულ საკითხებზე კოორდინაციის მიზნით. (Iran FM in Russia for regional, bilateral talks , 2021) აგრეთვე მოსკოვში გამართულ მოცემულ შეხვედრაზე, რუსეთმა და ირანმა ხელი მოაწერეს ორმხრივი კიბერუსაფრთხოების შესახებ თანამშრომლობის ფორმატს, რომელიც ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ მიმართულ შეთანხმებას გულისხმობს. შეთანხმება მოიცავს მხარეებს შორის თანამშრომლობის წარმართვას ინფორმაციის,

ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით ჩადენილ დანაშაულებს, ტექნოლოგიებში დახმარების და ხელის შეწყობის თემებს.

გარდა ამისა, რუსეთსა და ირანს შორის კიბერუსაფრთხოების შესახებ დადებული კონტრაქტი მოიცავს საერთაშორისო თანამშრომლობას, მათ შორის დაზვერვას, კოორდინაციას, აუცილებელ თანამშრომლობას რეგიონალური და საერთაშორისო საზოგადოებებისთვის ეროვნული და საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველყოფას. (Iran, Russia sign information security agreement , 2021) დიპლომატი რეგიონული მოგზაურობის პირველ ეტაპზე აზერბაიჯანის რესპუბლიკას ეწვია. შემდეგ რუსეთს, საქართველოს, სომხეთსა და თურქეთს. (Iran after forming 6-party union in region: FM Zarif , 2021)

2021 წლის 27 იანვარს, ირანის საგარეო საქმეთა მინისტრი ოფიციალურ ერევანს ეწვია, სადაც შეხვდა მის კოლეგას. მოცემულ შეხვედრაზე განხილული იქნა რეგიონალური პლატფორმა და ორი ქვეყნის მინისტრებმა დეტალურად გაცვალეს მოსაზრებები რეგიონული უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით. (Meeting of Foreign Minister Ara Aivazian with Foreign Minister of Iran Mohammad Javad Zarif , 2021)

რეგიონალურ ტურნეს ფარგლებში საქართველოში განხორციელებული ვიზიტი, ირანის საგარეო საქმეთა მინისტრის (ჯავად ზარიფი) მხრიდან 2021 წლის 28 იანვარს დაიწყო. ირანის საგარეო საქმეთა მინისტრმა აღნიშნა, რომ აპირებს შეხვედრები გამართოს საქართველოს ხელისუფლებასთან, „თეირანს და თბილისს შორის ურთიერთობებსა და რეგიონულ თანამშრომლობაზე სასაუბროდ.“ (FM Zarif Arrives in Georgia after Trips to Baku, Moscow, Yerevan , 2021)

ირანის საგარეო საქმეთა მინისტრი ოფიციალურ ანკარას 2021 წლის 29 იანვარს ეწვია, როგორც ოფიციალურ პრესრელიზში იყო გამოქვეყნებული ვიზიტის ფარგლებში განხილული იქნებოდა ორი ქვეყნის ორმხრივი ურთიერთობების ყველა ასპექტი და მოხდებოდა მოსაზრებების გაცვლა რეგიონულ და საერთაშორისო საკითხებზე. (No: 40, 28

January 2021, Press Release Regarding the Visit of H.E Javad Zarif, Minister of Foreign Affairs of the Islamic Republic of Iran, to Turkey, 2021) შეხვედრის შემდგომ მინისტრებმა ერთობლივი კონფერენცია გამართეს. ამასთანავე კავკასიის რეგიონის კონტექსტში ორივე მინისტრმა დაადასტურა, რომ ისაუბრეს 3+3 ფორმატის დიალოგის პლატფორმაზე.

ზემოთ მოცემული ინფორმაცია და საგარეო პოლიტიკის ანალიტიკოსთა მოსაზრებები განსაზღვრავს ირანის ინტენსიური დაინტერესების და მისი გეოპოლიტიკური გათვლების სპეციფიკას.

თავი 2. კავკასიის სტაბილურობის პაქტი რეგიონალური უსაფრთხოებისა და გეოპოლიტიკური გამოწვევების ქრილში

2.1. საქართველოს სახელმწიფო რეგიონალური უსაფრთხოებისა და 3+3 პოლიტიკური ფორმატის კონტექსტში

საქართველოს პოლიტიკური დღის წესრიგის გათვალისწინებით, ახლად შემოთავაზებულ 3+3 პლატფორმასთან მიმართებით ბალანსირების შექმნისთვის რელევანტური საშუალებების ძიებაა საჭირო. ამასთანავე, 3+3 ფორმატთან მიმართებით საქართველოს მხრიდან საჭიროა განხილული იყოს სხვადასხვა სახის პოლიტიკური ასპექტები, რომელიც მიმართული იქნება საქართველოს საუკეთესო სახელმწიფოებრივი ინტერესის გათვალისწინებისკენ.

მნიშვნელოვანია, თანმიმდევრულად გამოვიკვლიოთ კავკასიის სტაბილურობის პაქტის, პოლიტიკური ფორმატი საქართველოსთან მიმართებით მოქმედი ინიცირებები და ის შემოთავაზებები, რომელიც კავკასიის სტაბილურობის პაქტის ახალ 3+3 ფორმატის ფარგლებში მიიღო საქართველოს სახელმწიფომ.

მოცემულ რეგიონალურ გაერთიანებასთან მიმართებით გაირკვა, რომ ოფიციალური თბილისი უარს აცხადებს 3+3 პოლიტიკურ პლატფორმაში შესვლაზე. 2020 წლის შემოდგომაზე თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა პირველად წამოაყენა კავკასიის რეგიონალურ საკითხზე მიმართული “კავკასიის სტაბილურობის პაქტის“ ახალი 3+3 პლატფორმის იდეა, (მოცემული მოხდა ყარაბაღის მეორე ომის შემდგომ) „საქართველომ თავიდანვე განაცხადა, რომ არ მიიღებდა მონაწილეობას ამ პროექტის გავლით. თუმცა 2021 წლის ივნისში აზერბაიჯანში ვიზიტის დროს, თურქეთის პრეზიდენტმა ამ ინიციატივაზე კვლავ ისაუბრა.“ (Economic ties between Georgia and Russia are growing, but Georgia will not participate in 3 + 3 format , 2021)

ასევე, 3+3 პოლიტიკურ პლატფორმასთან მიმართებით, განვიხილოთ ოფიციალურ თბილისში მოლაპარაკებების მიზნით ჩამოსული ირანის საგარეო საქმეთა მინისტრის ვიზიტი. (28 იანვარი, 2021 წელი) მოცემული ქვეყანა, 3+3 ფორმატის აქტიური მომხრეა. ირანის საგარეო საქმეთა მინისტრის ვიზიტი მოიცავდა შეხვედრებს საქართველოს პრემიერ-მინისტრთან, პრეზიდენტთან და საგარეო საქმეთა სამინისტროში მყოფ წარმომადგენლებთან. როგორც ირანის საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა, მისი ოფიციალური ვიზიტების ტურნე თბილისში, მოსკოვში, ერევანში, ბაქოში და ანკარაში ეხებოდა 3+3 ფორმატზე საუბრისთვის არსებულ საკითხებს. აგრეთვე, “ირანის საგარეო საქმეთა მინისტრმა, მედიასთან განაცხადა, რომ მისი რეგიონალური მოგზაურობის პირობებში, იგი აპირებდა 3+3 ფორმატის პლატფორმის შექმნის შესახებ განხილვების წარმართვას.” (What Is The Purpose Of The Iranian Foreign Minister's Visit To Georgia?, 2021) (დეტ. იხ. თავი 1.4.- თეირანის გეოპოლიტიკური გათვლები)

აღსანიშნავია, რომ უსაფრთხოების დარგში და სხვადასხვა საერთაშორისო ურთიერთობების ფორმატში, ოფიციალურ თბილისს რეგიონალური მშვიდობიანი გარემოს შენარჩუნების მიზნით გააჩნია მეგობრული და სტაბილური საგარეო სამეზობლო კავშირები. ამასთანავე მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სახელმწიფო უარს აცხადებს პლატფორმაში მონაწილეობის მიღებაზე, იგი რეგიონში კვლავ აქტიურ საგარეო პოლიტიკურ როლს ასრულებს. შესაბამისად საქართველოს სახელმწიფოს მხრიდან ყოველთვის მიმდინარეობს პერმანენტული სახის მქონე თანამშრომლური საგარეო ურთიერთობების დამყარება.

ასევე საქართველოს ოფიციალურ საგარეო უწყებათა განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალურმა თბილისმა უარი განაცხადა 3+3 პლატფორმაში მონაწილეობის მიღებაზე, იგი რეგიონში კვლავ მნიშვნელოვან როლს ასრულებს, რადგან მონაწილეობს და თანამშრომლობს ისეთ სტრატეგიულად საყურადღებო პროექტებში, რომელიც აზიასა და ევროპას შორის, პოლიტიკურ-ეკონომიკურ ურთიერთობების გაბმას ეხება, აღნიშნული განიმარტა 3+3 პოლიტიკურ პროექტის ჩართულობის შესახებ უარის თქმის თაობაზე,

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური უწყებისგან. (Georgian Foreign Ministry against Turkey's idea of creating 3+3 regional format JAMnews , 2021) აგრეთვე ცნობილია, რომ საქართველოს მთავრობის მხრიდან გაეროს გენერალურ ასამბლეაზე მოხდა მშვიდობიანი სამეზობლოს ახალი ინიციატივის წარდგენა. რეგიონისთვის შეთავაზებული მოცემული “მშვიდობიანი სამეზობლო ინიციატივა“ ეფუძნება ურთიერთპატივისცემისა და თანასწორობის პრინციპებს.“ (Georgian Foreign Ministry against Turkey's idea of creating 3+3 regional format JAMnews , 2021)

რეგიონალური უსაფრთხოებისთვის საჭირო სახელმწიფოთშორისი მშვიდობიანი პოლიტიკის წარმართვა და სტაბილური გარემოს შენარჩუნება კავკასიის რეგიონში ყოველთვის სირთულეებთან იყო დაკავშირებული. ასევე რეგიონში ცენტრალური გეოპოლიტიკური მდებარეობა გააჩნია საქართველოს, რაც მის პოლიტიკურ მნიშვნელობას, როგორც ადგილობრივ ამასთანავე საერთაშორისო დიპლომატიის დონეზე ზრდის.

3+3 პოლიტიკური პლატფორმის შემოთავაზებასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია საქართველოს პოლიტიკური ინტერესების გათვალისწინება. ამასთანავე აღსამიშნავია, რომ ზოგადად საქართველოს სახელმწიფო ყოველთვის მიმართულია რეგიონალური და საერთაშორისო სახის მქონე პოლიტიკურ თუ სამხედრო სახის არაკონფლიქტური გარემოს მხარდაჭერისკენ.

რეგიონალურ დონეზე უსაფრთხოების საკითხებთან არსებული პოლიტიკის ფორმირება და აღნიშნული საკითხის თემატური გამოკვლევა აქტუალურია, რადგან კავკასიის რეგიონი, გეოპოლიტიკურად დამაბულ რეგიონს წარმოადგენს, როგორც სამხედრო, ამასთანავე პოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით.

საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობა აისახება გარემოში, სადაც რეგიონალური უსაფრთხოების დონე საკმაოდ დამაბულია. საქართველოს მხრიდან ნებისმიერ საერთაშორისო საკონტრაქტო შეთანხმებაში გაერთინებების წინ, მნიშვნელოვანია, წინასწარი პოლიტიკის განსაზღვრა. რადგან გარკვეული სტრატეგიული პოლიტიკის და

პოზიციის ქონის გარეშე, სხვადასხვა პროექტებში ჩართვამ შესაძლოა გაუთვალისწინებელი ვითარები გამოიწვიოს.

აგრეთვე სახელმწიფოთშორისი საერთაშორისო იურიდიული ძალის მქონე პაქტებში შესვლამდე, მნიშვნელოვანია რეგიონში არსებული მიმდინარე დაძაბული და არაპროგნოზირებადი ვითარებების გათვალისწინება, ამასთანავე მოცემულ 3+3 პროექტთან მიმართებით შესაძლოა ითქვას, რომ საქართველო შეიძლება სახიფათო მდგომარეობაში აღმოჩნდეს, „რადგან არ იცის როდის და სად იფეთქებს კონფლიქტი, რომლის შემთხვევაშიც შესაძლოა ბუფერული ზონა გახდეს.“ (ოვესოვი , 2022)

ასევე საერთაშორისო სამხედრო თეორიების კრილში აღსანიშნავია, რომ სამხედრო საქმეთა რევოლუციაში (RMA), “A revolution in military affairs (RMA)” არის სამხედრო თეორიაში არსებული ჰიპოთეზა, რომელიც დაკავშირებულია ომის მომავლის შესახებ არსებულ საკითხზე, და ხშირად მიმართულია სამხედრო რეფორმის დროს გატარებულ ტექნოლოგიურ და ორგანიზაციულ რეკომენდაციებთან.

მოცემულმა სამხედრო საქმეების რევოლუციამ, შესაძლოა აღნიშნული გეზით წასვლით სამხედრო ორგანიზაციები გაუგებარ და ხშირად პოტენციურად საშიშ წყლებში შეიყვანოს, საიდანაც მცირე და საშუალო ზომის სამხედრო ორგანიზაციების არასწორმა სვლებმა, შესაძლებელია, რომ შემდეგ უკვე სახელმწიფოს ეგზისტენციალური კრიზისი გამოიწვიოს. (Rotte & Schwarz, 2011)

ოფიციალური თბილისის თანამშრომლურ საერთაშორისო ურთიერთობებს, რომ შევხვით კვლავ აღსანიშნავია, რომ განვლილი პერიოდი საქართველოს მხრიდან მრავალ პოლიტიკურ პროექტში ჩართულობას ადასტურებს, თუმცა მოცემული უნდა განხორციელდეს სამხედრო და პოლიტიკური რისკების დაზღვევის ფონზე, სადაც მაქსიმალურად დაცული იქნება სამომავლო დაუძლეველი და საფრთხის შემცველი გარემოებები.

აგრეთვე საერთაშორისო საფრთხეების ჭრილში აღსანიშნავია, რომ ეროვნული უსაფრთხოების გაძლიერება გულისხმობს სახელმწიფოს უნარს დაიცვას ქვეყანა და საკუთარი მოქალაქეები, გარე და შიდა საფრთხეებისგან. (King's college London, 2006)

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია მოიცავს, კავკასიის რეგიონალური უსაფრთხოების შენარჩუნებისთვის საქართველოს სახელმწიფოს მონაწილეობის თაობაზე არსებულ საკითხებს. ამასთანვე აღსანიშნავია, რომ მნიშვნელოვანია, საერთაშორისო ფაქტორების გათვალისწინება, რადგან წარმატებული ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავება დაფუძნებულია საერთაშორისო სიტუაციების, მათ შორის - დიპლომატიური, ეკონომიკური, დაზვერვის, სამხედრო და მორალური ფაქტორების გულდასმით შესწავლასა და ანალიზზე. (White, 2011)

საქართველოს სახელმწიფოს რეგიონულ დონეზე უსაფრთხოების განმტკიცებაში ფართო საერთაშორისო პოლიტიკური წვლილი შეაქვს, რომელიც თავის მხრივ, გარდა სხვადასხვა დიპლომატიური აქტივობებისა, ამასთანვე მოიცავს საერთაშორისო დონის მრავალმხრივ საგარეო ურთიერთობების რეალიზებას და სხვადასხვა პოლიტიკურ პლატფორმებში თანამშრომლობის მაღალ სტანდარტს.

გარდა ამისა, საქართველო მის სახელწიფოებრივ გამოწვევად აღიქვამს და ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციით განსაზღვრავს, რომ კავკასიაში არსებული კონფლიქტები არის მის წინაშე არსებული საფრთხეების, რისკებისა და გამოწვევების ნაწილი. (National Security Concept of Georgia , თ. გ.)

ამასთანვე აღსანიშნავია, რომ საქართველოს სახელმწიფო მის ეროვნულ ინტერესად მიიჩნევს რეგიონული სტაბილურობის უზრუნველყოფას. სადაც განმარტავს, რომ გარდა შიდა უსაფრთხოების განმტკიცებისა, ამასთანვე სახელმწიფოთშორის გაერთიანებებში აქტიური მონაწილეობების მიღებით, საქართველოს რეგიონალურ უსაფრთხოების განმტკიცებაშიც დიდი წვლილი შეაქვს.

რეგიონული სტაბილურობის უზრუნველყოფასთან მიმართებით, “მრავალმხრივ და ორმხრივ ფორმატებში საერთაშორისო თანამშრომლობით ქვეყანას საკუთარი წვლილი შეაქვს რეგიონული უსაფრთხოების განმტკიცებაში.“ (საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია , n.d.)

საინტერესოა რამდენად არის შესაძლებელი, რომ საქართველოს ხელისუფლების მიერ მოხდეს 3+3 რეგიონალურ პლატფორმასთან მიმართებით არსებული პოზიციის ცვლილება.

1 - ცალსახაა, რომ საქართველოსთვის სახელმწიფოებრივად უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს მის სუვერენიტეტისა და ტერიტორიულ მთლიანობაზე ზრუნვა, რომელშიც მოიაზრება ოკუპირებულ ტერიტორიების საკითხები. შესაბამისად აღნიშნულ საკითხზე, მხარეებს შორის საჭიროა საგარეო პოლიტიკური არგუმენტაციის მოხდენა, თუ რა შედეგების მომტანი იქნება მოცემულზე 3+3 რეგიონალური პოლიტიკური პლატფორმა, რადგან ოკუპირებულ ტერიტორიებთან მიმართებით არსებული პრობლემური საკითხი, შესაბამისია, არა მხოლოდ ქვეყნის შიდა პოლიტიკურ გამოწვევებთან, არამედ, აგრეთვე ეხება რეგიონალური ლოკალური დონის უსაფრთხოების საკითხებსაც. რადგან რეგიონში მყოფი ნებისმიერი სახელმწიფოს არასტაბილური გარემო ამასთანავე დისკომფორტულ რეგიონიონალურ პოლიტიკურ გარემოს ქმნის. არაკონფლიქტური გარემოს უზრუნველყოფა და გეოპოლიტიკურ დონეზე სტაბილური ვითარების შექმნა კი დამოკიდებულია რეგიონში არსებულ სახელმწიფოთა მშვიდობიან თანაარსებობაზე.

2 - საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობა რეალიზდება მაღალი კონფლიქტურობის მქონე რეგიონში, სადაც პოლიტიკური გარემო პერმანენტულად ცვალებადია და კონფლიქტი კავკასიის რეგიონში მყოფ მეზობელ სახელმწიფოებს შორის უჩვეულო თემა არ არის. შესაბამისად მნიშვნელოვანია მოხდეს იმის პოლიტიკური ფორმირება, თუ რამდენად ქმედითი შეიძლება იყოს კავკასიის რეგიონალური უსაფრთხოებისთვის და უშუალოდ საქართველოსთვის, კავკასიის სტაბილურობის პაქტის

რეალიზება და მასში ყველა იმ სახელმწიფოს შესვლა, რომელსაც 3+3 ფორმატის შემოთავაზება ითვალისწინებს.

მიმდინარე პერიოდში არსებული საკვლევ მიმართულებით, 3+3 რეგიონალური პოლიტიკური პლატფორმის გავლით არ იკვეთება საქართველოს ტერიტორიული პრობლემური თემის განხილვის რეალური და ქმედითი ალბათობა.

აგრეთვე მოცემულ საკითხზე მიმდინარე პერიოდში არ იკითხება “მზაობა“, სადაც საქართველოს ტერიტორიულ საკითხებთან მიმართებით რუსეთის ფედერაცია კონკრეტულ და ქმედით “პოზიციას“ დააფიქსირებს, რათა მოხდეს აღნიშნული პრობლემის შესახებ ორმხრივი მოლაპარაკებების წარმართვა - 3+3 მრავალმხრივი რეგიონალური თანამშრომლობის ფორმატის გავლით კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა.

ამიტომ, როგორც აღინიშნა საქართველოს ხელისუფლება არ უერთდება მოცემულ 3+3 ფორმატს და მიუხედავად მეგობრული სერთაშორისო პოლიტიკური ურთიერთობებისა, რომელიც მას ფორმატში შემავალ სახელმწიფოთა თითქმის სრული უმრავლესობისადმი გააჩნია, იგი ამჟამად მაინც პლატფორმაში მონაწილეობაზე უარს აცხადებს. აგრეთვე საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური უწყება აცხადებს, რომ

თბილისი არ განიხილავს რაიმე ფორმატში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობას, სადაც შედის რუსეთის ფედერაცია, იქამდე სანამ არ დაასრულდება აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონების ოკუპაცია და სახეზე იქნება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობას აღიარება. შესაბამისად საქართველომ ოფიციალურად განაცხადა უარი, რათა მონაწილეობა მიეღო რეგიონულ დონეზე არსებულ 3+3 პროექტის პლატფორმაში. (Economic ties between Georgia and Russia are growing, but Georgia will not participate in 3 + 3 format, 2021)

მიუხედავად რუსეთის ფედერაციის მიერ მოხდენილი ოკუპაციისა, საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიულ მთლიანობას და მის სუვერენიტეტს მხარს უჭერს საერთაშორისო პოლიტიკური საზოგადოების სრული უმრავლესობა, რომლებიც საკუთარი სახელმწიფოების ოფიციალური წარმომადგენლობითი მანდატის ქვეშ,

საერთაშორისო ურთიერთობების და საერთაშორისო სამართლის დონეზე ოფიციალურად აღიარებენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ფაქტს.

სახელმწიფოს სუვერენიტეტი ცენტრალური ცნებაა. ხოლო მოცემულით ქვეყანა მისი გარეგნული ასპექტით წარმოჩენილია დანარჩენი მსოფლიოს წინაშე. სუვერენიტეტი ადგენს სახელმწიფოს უფლებას მოახდინოს მისი კანონმდებლობის შექმნა, ასევე საკუთარი არჩეული სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური წესრიგი შენება. (Lowe, 2015)

შესაბამისად უმნიშვნელოვანესია სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი და მისი აღიარება საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან. (საერთაშორისო სამართლის დადგენილებების მიხედვით)

ამასთან მიმართებით კი აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო სახელმწიფოთშორის პოლიტიკურ გაერთიანებათა სხდომებზე ხშირად ხდება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისადმი და სუვერენიტეტისადმი მხარდაჭერის გამოცხადება, მაგალითად ევროპის გაერთიანების პოლიტიკური და იურიდიული სტრუქტურები ისევე, როგორც ამერიკის შეერთებული შტატები, საკუთარ ოფიციალურ განცხადებებში პერმანენტულად მკაფიოდ აცხადებენ, რომ საერთაშორისო საზოგადოების პოზიცია აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან მიმართებით ურყევია და აგრეთვე, მათ მიერ სრულად არის მხარდაჭერილი საქართველოს საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრები და ტერიტორიულ მთლიანობის ფაქტი.

ამერიკის შეერთებული შტატების ოფიციალური უწყების მიერ ხშირად არის აღნიშნული გამოთქმული. სადაც მაგალითად, ფიქსირდება მათი კონკრეტული პოზიცია, საქართველოში ახლო წარსულში მიმდინარე კონფლიქტურ დაპირისპირებასა და საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ სამხედრო კონფლიქტის თაობაზეც.

ამერიკის შეერთებული შტატები, ისევე, როგორც მსოფლიოს სხვა სახელმწიფოები საერთაშორისო მხარდაჭერას უცხადებენ საქართველოს და მის ტერიტორიულ

მთლიანობას. შეერთებული შტატები მხარს უჭერს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში და გმობს რუსეთის 2008 წლის შეჭრას საქართველოს რეგიონებში, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, რომლებიც დღეს რუსეთის მიერ ოკუპირებულნი არიან. (U.S. Relations With Georgia, BILATERAL RELATIONS FACT SHEET, BUREAU OF EUROPEAN AND EURASIAN AFFAIRS , 2021)

ამასთანავე საერთაშორისო საზოგადოება გმობს იმ სამხედრო ხასიათის მქონე კავშირების გაბმას, რასაც ბოლო ხანებში რუსეთის ფედერაცია ახდენს სეპარატისტული რეგიონის სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ლიდერებთან ერთობლივი ძალისხმევის შედეგად, რაც მოიცავს სამხედრო ძალების შექმნის თაობაზე არსებულ საერთო საგარეო პოლიტიკურ თანამშრომლობას. აგრეთვე სრულუფლებიანი ელჩები და უშუალოდ ცალკეული უცხო სახელმწიფოები თავიანთ საერთაშორისო პოლიტიკურ პოზიციას აფიქსირებენ, ოკუპირებულ ტერიტორიებზე ჩატარებულ ეგრეთ წოდებულ ბოლოდროინდელ არჩევნებთან მიმართებით. მოცემული მხარდაჭერა მოსალოდნელი და რელევანტურია, საერთაშორისო იურიდიული ძალის მქონე რეგულაციების მიხედვით, რადგან საერთაშორისო სამართლის საკანონმდებლო ჩარჩოსთან მიმართებით, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ჩატარებული ეგრეთ წოდებული არჩევნები, ვერ იქნება საერთაშორისო სამართლით დადგენილი ლეგიტიმაციის მქონე.

ამასთანავე საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ჩატარებული ეგრეთ წოდებული არჩევნების საბოლოო დადგენილება, არ წარმოადგენს საერთაშორისო პოლიტიკის დღის წესრიგში არსებულ ლეგიტიმურ შედეგს. ევროპის გაერთიანების განცხადებებში ვკითხულობთ, ევროკავშირი მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და სუვერენიტეტს, როგორც ეს აღიარებულია საერთაშორისო სამართლის მიერ. რაც შეეხება ეგრეთ წოდებულ საპარლამენტო არჩევნებს, რომელიც საქართველოს სეპარატისტულ რეგიონში 2022 წლის 12 მარტს ჩატარდა (აფხაზეთში), შეგახსენებთ, რომ ევროკავშირი არ ცნობს იმ კონსტიტუციურ და სამართლებრივ ჩარჩოს, რომელშიც ისინი ჩატარდა.

(Remarks by Ambassador Hartzell on the so-called parliamentary elections in the Georgian breakaway region of Abkhazia, 2022)

გარდა ამისა, სხვადასხვა პლატფორმებზე და ფართო საერთაშორისო დონეზე კვლავ ინტენსიურად ხდება, საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობისადმი ურყევი მხარდაჭერა. ოფიციალურ განცხადებებში სრულად უჭერენ მხარს, საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში არსებულ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და მის სუვერენიტეტს. აგრეთვე მოცემულთან მიმართებით, როგორც ამერიკის შეერთებული შტატები ოფიციალური განმარტებებით აცხადებს: „შეერთებული შტატების პოზიცია აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით მკაფიო და თანმიმდევრულია - ორივე ეს რეგიონი საქართველოს განუყოფელი ნაწილია. ამ კონტექსტში, შეერთებული შტატები არ ცნობს საქართველოს ტერიტორიაზე არალეგიტიმურად ჩატარებული არჩევნების შედეგებს. „ (Russian Efforts to Undermine Georgia’s Sovereignty and Territorial Integrity , 2022)

აგრეთვე აღსანიშნავია, რომ საქართველოს სახელმწიფოს მიერ, ოკუპირებულ აფხაზეთში ჩატარებულ ეგრეთ წოდებულ არჩევნებთან მიმართებით გამოქვეყნებული, 2022 წლის 18 მარტის "დადგენილება №09" -ის მიხედვით, ოკუპირებულ აფხაზეთში გამართული ე.წ. არჩევნები ეწინააღმდეგება როგორც საერთაშორისო სამართლის ძირითად პრინციპებსა და ნორმებს, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციას, ისე საქართველოს კანონმდებლობას, კერძოდ საქართველოს კონსტიტუციასა და „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონს. (აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილება ოკუპირებულ აფხაზეთში 2022 წლის 12 მარტს ჩატარებული ე.წ. საპარლამენტო არჩევნების შესახებ, 2022)

სამხედრო ურთიერთობების ქრილში, ამასთანავე აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან არ ხდება ეგრეთ წოდებული სამხედრო ხელშეკრულების ლეგიტიმურობის აღიარება, რომელიც სეპარატისტულ რეგიონში, დადებულია რუსეთის

ფედერაციასთან ერთად სამხედრო კოლაბორაციის მიზნით. შეერთებული შტატები გამოხსნის რუსეთის ფედერაციის მიერ შეთანხმების დამტკიცებას, რომელიც საქართველოს სეპარატისტული რეგიონის სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ლიდერებთან ერთობლივი სამხედრო ძალების შექმნის შესახებაა მიმართული. როგორც ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ოფიციალურადაა გამოთქმული, „ჩვენ არ ვაღიარებთ ამ ეგრეთ წოდებულ „ხელშეკრულების“ ლეგიტიმურობას, რომელიც არ წარმოადგენს მოქმედ საერთაშორისო შეთანხმებას.“ (Russia’s Violations of Georgian Sovereignty , 2018)

2.2. 3+3 პლატფორმა და საქართველოს სამეზობლო პოლიტიკა: ურთიერთობა რუსეთთან და კავკასიის სტაბილურობის პაქტის სხვა მხარდამჭერ სახელმწიფოებთან

რთულია, მჭიდრო სახელმწიფოთშორის თანამშრომლურ პროექტში გაერთიანება იმ სახელმწიფოსთან ერთად, რომლის მიერაც მიმდინარე ეტაპზე ოკუპირებულია საქართველოს ტერიტორიები. ამიტომ რუსეთის ფედერაციასთან ერთად ფორმატში მონაწილეობის მიღება ვერ მოხერხდება და გაჭირდება, რადგან გარკვეული სახელმწიფოთშორისი გაერთიანების გავლით (3+3 პოლიტიკური პლატფორმით - სახელმწიფოთა რაოდენობა - 6 სახელმწიფო) ქმედითი საერთაშორისო პოლიტიკური დიალოგის განხორციელება და უსაფრთხოების საკითხების რეალიზაციისთვის საჭირო საერთო კომუნიკაცია თუ ერთობლივი პოლიტიკური აგენდით მუშაობა გამძლედება, ისეთ სახელმწიფოსთან ერთად, რომელთანაც მიმდინარე პერიოდში არ წარიმართება პირდაპირი საგარეო დიპლომატიური კომუნიკაცია. ამიტომ მიმდინარე ეტაპისთვის ოფიციალური ქართული მხარის მხრიდან მნიშვნელოვანია მოხდეს იმ რისკებზე აპელირება და საგარეო პოლიტიკური ანალიზი, თუ რამდენად საფრთხის შემცველი შესაძლოა იყოს ან არ იყოს საქართველოს სახელმწიფოს ჩართულობა 3+3 ფორმატის პროექტში.

მოცემულთან მიმართებით პოლიტიკური ანალიზის მიმართულებას წარმოადგენს იმ გამოწვევებზე მსჯელობა, თუ რამდენად ეფექტური იქნება საქართველოს სახელმწიფო ინტერესებისთვის, რეგიონალურ საკითხებზე მომუშავე ახალ შემოთავაზებულ 3+3 ფორმატში ჩართულობა. რეგიონში არსებულ უსაფრთხოების საკითხებთან მიმართებით აღსანიშნავია აგრეთვე აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ვითარება.

ზემოთ ვისაუბრეთ 3+3 ფორმატში მონაწილეობისთვის განსაზღვრულ ოფიციალური ანკარას და თეირანის ფაქტორზე, ხოლო მოცემულ თავში განვიხილავთ 3+3 ფორმატთან

არსებულ უშუალოდ საქართველოს და რუსეთს შორის მიმდინარე პოლიტიკურ ურთიერთობათა ჭრილს და ოფიციალური თბილისის სამეზობლო პოლიტიკას.

საერთაშორისოდ აღიარებული დებულების მიხედვით, საერთაშორისო პოლიტიკური გაერთიანებების თავდაპირველ დონეზე ინიცირება სახელმწიფოებს პირდაპირ არ ავალდებულებს, რომ მასში მიიღონ აქტიური საგარეო მონაწილეობა, რადგან სახელმწიფოთშორის გაერთიანებების რელიაზება პოლიტიკურად კომპლექსური საკითხის მქონეა და მასში ქვეყნების ჩართვა წინასწარ უნდა მოიცავდეს ინტენსიურ შიდა პოლიტიკურ განხილვებს იქამდე, სანამ მოხდება საერთაშორისო დონის ხელშეკრულების დადება, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფოთა შორის დადებულ იურიდიულად სავალდებულო დონის შეთანხმების მქონე დოკუმენტს. მას შემდეგ, რაც ქვეყნები თანხმდებიან ხელშეკრულების ტექსტზე, ისინი ხელს აწერენ სახელმწიფოთშორისი გაერთიანების კონტრაქტს და იღებენ კანონიერ, როგორც უფლებებს, ამასთანავე მოვალეობებს. ხოლო რატიფიკაციის შემდგომ ქვეყნები, რომლებიც დათანხმდნენ ხელშეკრულების პირობებს, მოცემული შეთანხმებს დებულებათა მიხედვით იურიდიულად ხდებიან შებოჭილი. (Sciencedirect, Different Types of Normative Documents - Intergovernmental Organizations, Organizations and Guidelines, 2012) შესაბამისად სახელმწიფოებს ეკისრებათ საერთაშორისო დონეზე აღებული ვალდებულებების შესრულების აუცილებლობის პირობა, აქედან გამომდინარე მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფოთშორის გაერთიანებების რელიაზებებამდე მოხდეს ინტენსიური განხილვები, რომელიც შიდა პოლიტიკის უსაფრთხოების ჭრილს მოიცავს. რათა ქვეყანამ თავიდან აირიდოს მისი სახელმწიფოებრივი ინტერესების შეუსაბამო საერთაშორისო დონის სახელმწიფოთშორის გაერთიანებაში ჩართულობა.

კავკასიის რეგიონში მყოფი სახელმწიფოების მხრიდან, 3+3 პოლიტიკურ პლატფორმაში მონაწილეობის შესახებ უარის თქმა, როგორც ოფიციალური თბილისის შემთხვევაზე განვიხილეთ ვერ შეფასდება, როგორც რეგიონალური უსაფრთხოების საკითხებში მონაწილეობის თაობაზე თავის არიდების მცდელობა, ვინაიდან როგორც სამაგისტრო

ნაშრომში იქნა ახსნილი, საქართველო კვლავ მნიშვნელოვან როლს თამაშობს რეგიონალური უსაფრთხოების განვითარებაში. ამასთანავე ინტენსიურად ფიქსირდება ოფიციალური თბილისის მხრიდან არსებული მრავალმხრივი, მჭიდრო და სამშვიდობო საგარეო სამეზობლო ურთიერთობები.

როგორც ზემოთ მოცემულ თავებში განვიხილეთ, ერთ-ერთი მიზეზი რის გამოც ოფიციალური თბილისი უარს აცხადებს 3+3 პოლიტიკურ პლატფორმაში მონაწილეობის მიღებაზე არის, ის რომ რეგიონალური ფორმატის ერთ-ერთ მონაწილე ქვეყანას წარმოადგენს რუსეთის ფედერაცია, რომლის მხრიდანაც ოკუპირებულია საქართველოს ჩრდილო და დასავლეთ მდებარე ტერიტორიები.

თუმცა პროექტში შემავალ სხვა სახელმწიფოებთან არსებული დიპლომატიური ურთიერთობების მხრივ აღსანიშნავია, რომ ფორმატში მონაწილე ყველა ქვეყანასთან, საქართველოს ოფიციალურად აქვს საგარეო პოლიტიკური სახის მქონე ურთიერთობები, გარდა რუსეთის ფედერაციისა, რადგან ამჟამად საქართველოს არ გააჩნია მასთან პირდაპირი პოლიტიკური და დიპლომატიური კომუნიკაცია, მოცემული ვითარებების ფონზე, როგორც აღინიშნა გაჭირდება საერთო პოლიტიკურ პლატფორმაში მონაწილეობის მიღება.

საქართველოს სახელმწიფოში მოქმედ ეროვნულ უსაფრთხოებასთან მიმართებით, აღსანიშნავია უსაფრთხოების კონცეფციის მოცემულობა, რომელიც მუშაობს საქართველოს სახელმწიფოებრივ უსაფრთხოების პოლიტიკის ძირითად მიმართულებებზე. (National Security Concept of Georgia , თ. გ.) აქედან ერთ-ერთია საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიათა დეოკუპაცია.

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის მიხედვით, განსაზღვრულია ის შიდა სახელმწიფოებრივი ეროვნული ინტერესები, რაც სახელმწიფო ინსტიტუტების განვითარების გარდა, ამასთანავე მოიცავს საგარეო ურთიერთობების სტაბილიზაციას. უფრო დეტალურად კი, სახელმწიფოს წინაშე მდგომ საფრთხეებსა და პოლიტიკურ

საერთაშორისო რისკებს, აგრეთვე აღსანიშნავია ის გამოწვევები, რომელიც ეხება ქვეყნის სუვერენიტეტს და ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს, კერძოდ, ეროვნულ კონცეფციაში, საქართველოს წინაშე არსებული საფრთხეებისა და რისკების თავში განსაზღვრულია, რომ საერთაშორისო დონეზე საქართველოს წინაშე არსებული საფრთხეები, რისკები და გამოწვევები, უკავშირდება რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციას. (საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია , n.d.) უსაფრთხოების კონცეფციით დეოკუპაცია და რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობის წარმართვა წარმოადგენს საქართველოს უსაფრთხოების პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად სამუშაო მიმართულებას.

თუმცა აღსანიშნავია, რომ ქართულ-რუსული ურთიერთობების ახალ ეტაპზე, 2012 წელს, გადაიდგა პრაქტიკული ნაბიჯები, მოცემული განხორციელდა სამთავრობო ფორმირებიდან მალევე, როცა საქართველოში მიმდინარე შიდა პოლიტიკური ცვლილებების შემდეგ, ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში, გაიმარჯვა ახალ პოლიტიკურმა პარტიამ, რომელმაც “ნაციონალური მოძრაობის” პარტია ჩაანაცვლა და ხელისუფლებაში მოვიდა საქართველოს მოსახლეობის მიერ, საარჩევნო უმრავლესობით მხარდაჭერილი პოლიტიკური გაერთიანება “ქართული ოცნება“, „რომელმაც ერთ-ერთ გაცხადებულ საგარეო პოლიტიკურ მიზნად რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების მოწესრიგება დაისახა.“ (შაიშმელაშვილი, 2014)

მიმდინარე პერიოდში რუსულ და ქართულ მხარეებს შორის მოხდა შეთანხმება, რომ დაწყებულიყო თანამშრომლობა იმ სფეროებში, სადაც არ იკვეთებოდა ე.წ წითელი ხაზები. ასევე „თბილისსა და მოსკოვს შორის დაწყებული, პრაქტიკულად, პირველივე კომუნიკაციის შემდეგ ცხადი გახდა დიალოგის ფილოსოფია“ (შაიშმელაშვილი, 2014) ხოლო იმ სფეროებთან მიმართებით კი, სადაც შესაძლებელი იყო თანამშრომლობის დაწყება გამოიკვეთა შემდეგი - როგორც 2012 წელს ზურაბ აბაშიძემ გრიგორი კარასინთან პირველი შეხვედრის შემდეგ განაცხადა “-შევთანხმდით, რომ გარკვეულ თემებზე ვერ ვთანხმდებით, დასაწყისისთვის სასაუბროდ განვსაზღვრეთ სავაჭრო, ჰუმანიტარულ-

კულტურული ურთიერთობების საკითხები და რეგულარული საავიაციო მიმოსვლის აღდგენის თემა“ - Front News,“ (შაიშმელაშვილი, 2014)

უსაფრთხოების პოლიტიკას გააჩნია ის წინაპირობები, რასაც „საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია“ განსაზღვრავს რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობისას. საქართველო მზადაა მშვიდობიანი დიალოგისთვის და დიპლომატიური ურთიერთობების წარმართვისთვის. მაგრამ მოცემულს გააჩნია საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციით განსაზღვრული წინაპირობები და მოიცავს დეოკუპაციის საკითხს. საქართველო მზად არის კეთილმეზობლური ურთიერთობები ჰქონდეს რუსეთის ფედერაციასთან, თანასწორობის პრინციპზე დამყარებული, რაც შეუძლებელია საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემისა და დეოკუპაციის დაწყების გარეშე. საქართველო მზად არის დაიწყოს დიალოგი რუსეთის ფედერაციასთან ამ ფუნდამენტურ საკითხებზე. (National Security Concept of Georgia , n.d.)

როგორც სამაგისტრო ნაშრომის წინა თავებშიც აღინიშნა, რეგიონალური უსაფრთხოების საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მნიშვნელოვან როლს თამაშობს, იგი თანმიმდევრულად ინარჩუნებს მშვიდობიან სამეზობლო ურთიერთობებს, რაც თავის მხრივ, ხელს უწყობს რეგიონალური უსაფრთხოების გაძლიერებას და სტრატეგიულად ახდენს კავკასიის რეგიონში პოლიტიკურად სტაბილური გარემოს ფორმირებას.

ასევე კვლავ აღსანიშნავია, რომ საქართველოს სახელმწიფო მიუხედავად მის მიერ გაცხადებული პოზიციის, რომ მიმდინარე მოვლენების გათვალისწინებით არ აპირებს მონაწილეობა მიიღოს რეგიონალური თანამშრომლობის 3+3 ფორმატში, იგი კვლავაც მნიშვნელოვან როლს თამაშობს, რეგიონის სტაბილური უსაფრთხოების გარემოს შექმნაში.

გარდა ამისა, საქართველოს გააჩნია, მშვიდობიანი და სტრატეგიული სამეზობლო (თანამშრომლური) პოლიტიკა, ხოლო მოცემული გულისხმობს იმას, რომ მიმდინარე პერიოდში მის მიერ 3+3 ფორმატში მონაწილეობის მიღების თაობაზე უარის თქმა ვერ შეფასდება „რეგიონალურ თანამშრომლობაზე თავის არიდებით“. რადგან 3+3 პოლიტიკურ

პლატფორმაში შემავალ სახელმწიფოებთან (გარდა რუსეთისა - კონფლიქტური ვითარების გამო) ოფიციალურ თბილისს გააჩნია მეგობრული და სტრატეგიული სასაზღვრო ურთიერთობები. შესაბამისად რეგიონში საქართველოს სახელმწიფო კვლავ სტრატეგიულ როლს ითამაშებს.

ტერიტორიული მთლიანობის პრობლემური საკითხების გარდა, ამასთანავე გეოგრაფიული მდებარეობით, როგორც ვისაუბრეთ საქართველო გამოირჩევა გეოპოლიტიკურად არამდგრად რეგიონში არსებობით. თუმცა მიუხედავად ამისა, როგორც აღვნიშნეთ, რეგიონალურ სახელმწიფოთშორის დონეზე საქართველოს გააჩნია პოლიტიკურად დაბალანსირებული და დიპლომატიური სახის მქონე საერთაშორისო საგარო ურთიერთობები. აგრეთვე სამაგისტრო ნაშრომის ზემოთ მოცემულ თავებში, გამოვიკვლიეთ 3+3 პოლიტიკურ პლატფორმაში მონაწილეობის მიღებისთვის განსაზღვრულ დიდ სახელმწიფოთა ფაქტორები.

რეგიონალურ უსაფრთხოების მოდელთან დაკავშირებით და სამეზობლო ურთიერთობების გაღრმავებისთვის, ოფიციალური თბილისის მხრიდან მოხდა ახალი პოლიტიკური თანამშრომლობის შესახებ ინიციატივის გაჟღერება. მოცემული ეხება რეგიონალურ მშვიდობიან თანაარსებობის საკითხს, რომელიც ქვეყნებს შორის თანამშრომლობის ჩამოყალიბებას გულისხმობს, “სამეზობლოს მშვიდობიანი ინიციატივის“ ფორმირებით, “ფორმატი ხელს შეუწყობს დიალოგს და ნდობის აღდგენას, ამასთანავე განახორციელებს საერთო ინტერესის და რეგიონალური საკითხების პრაქტიკული გადაწყვეტილებების განხორციელებას.” (“Peaceful Neighborhood Initiative” at the UNGA, 2021)

საქართველოს მთავრობის პოზიციით, სამხრეთ კავკასიაში არსებული მშვიდობიანი გარემო, და “სამეზობლოს მშვიდობიანი ინიციატივის“ განხორციელება, სარგებელს მოუტანს, არა მხოლოდ შავი ზღვის რეგიონს, არამედ იგი საერთაშორისო დონეზე და ევროპული უსაფრთხოების სტაბილურ უზრუნველყოფაშიც მოახდენს ზეგავლენას:

„სამხრეთ კავკასიაში არსებული მდგრადი მშვიდობა და საერთო სტრატეგიული ხედვა სარგებელს მოუტანს მთელ შავი ზღვის რეგიონს და უფრო გააძლიერებს ფართო ევროპულ და გლობალურ უსაფრთხოებას.“ (General Debate of the 76th session of the UN General Assembly. .8. New York, September 24, 2021, 2021) ამასთანავე ინიციატივაში ნათქვამია, რომ „საქართველო მზადაა, რათა საერთაშორისო შეხვედრას თბილისში უმასპინძლოს, სადაც განიხილება მშვიდობიანი კეთილმეზობლური ინიციატივის პერსპექტივები.“ (General Debate of the 76th session of the UN General Assembly. .8. New York, September 24, 2021, 2021)

ოფიციალური თბილისის მხრიდან მოცემული შეთავაზებები და ზემოთ აღნიშნული დამოკიდებულებები, კვლავ მიუთითებს რეგიონალურ პროცესების პოლიტიკაში ჩართულობასა და სამხრეთ კავკასიის რეგიონში უსაფრთხოების ჩარჩოს შექმნისთვის საჭირო ღონისძიებების გატარების სურვილზე, ასევე საქართველოს სახელმწიფოს მზაობას, რათა მოახდინოს მრავალმხრივ რეგიონალურ სახელმწიფოთშორის თანამშრომლობებში აქტიური ჩართულობის დაფიქსირება.

ოფიციალური თბილისის მხრიდან, 3+3 რეგიონალურ პოლიტიკურ პლატფორმასთან მიმართებით, როგორც სამაგისტრო ნაშრომის მოცემულ თავებშიც გამოვიკვლიეთ, დაფიქსირდა მრავალი კონკრეტული პოზიცია. 2021 წლის 3 მარტს თურქეთში ოფიციალური ვიზიტის დროს, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ანკარაში შეხვდა მის კოლეგას, სადაც კვლავ მოხდა 3+3 პლატფორმის იდეის განხილვა. (Meeting of Foreign Minister Mevlüt Çavuşoğlu with Vice Prime Minister and Foreign Minister David Zalkaliani of Georgia, 2021)

მოცემულ 3+3 რეგიონალურ ფორმირებასთან მიმართებით საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს უწყების მთავარ წარმომადგენლმა გააკეთა განცხადება იმის თაობაზე, რომ საქართველოს ოკუპაციის პირობებში გაუჭირდება რუსეთთან ერთად მჭიდრო ალიანსში შესვლა. ამასთანავე აღინიშნა, რომ ზოგადად ფორმატებში გაერთიანებულმა ქვეყნებმა პატივი უნდა სცენ საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებს, რაც მათ შორის მოიცავს სახელმწიფოთა სუვერენიტეტის და ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემას.

აღნიშნული პოზიციები, საინტერესოა იმის გამო, რომ სუვერენიტეტთან დაკავშირებული იდეები და საერთაშორისო პრაქტიკა კრიტიკულად მნიშვნელოვანია სახელმწიფოების საზღვრებსა და ეროვნულ ტერიტორიებზე დაფუძნებული პოლიტიკის არქიტექტურის ჩამოყალიბებაში. (Dodds , 2014)

ვიზიტის ფარგლებში, რეგიონში მყოფ სახელმწიფოთა ინტერესის შესახებ აღინიშნა, რომ ფორმატებთან დაკავშირებით, ოფიციალურ ანკარაში ვიზიტამდე ბევრი სპეკულაციური „-3+3 ფორმატი იქნება, 3+2 თუ 3+1... მთავარი აქ არის რეგიონის ქვეყნების ინტერესი. პირველ რიგში, სამხრეთ კავკასიის სამი ქვეყანაა და სამმა ქვეყანამ უნდა გადაწყვიტოს ის პლატფორმები და ის თემატიკა, რაც მას აერთიანებს”, (ანკარა გაგებით ეკიდება საქართველოს ფრთხილ პოზიციას 3+3 ფორმატზე , 2021) – მოცემული განაცხადა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა, ზემოთ აღნიშნულ ანკარაში გამართულ შეხვედრის შემდეგ

ასევე საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის აზრით, რეგიონში ბოლო პერიოდსა და კონფლიქტის შემდეგ (იგულისხმება ყარაბაღის ომი) ახალი რეალობა არის წარმოქმნილი, სადაც რეგიონში რუსეთის ფედერაციის ყოფნა, და მათ შორის სამხედრო ჭრილში მისი ზეგავლენა იზრდება, ამიტომ, როგორც განცხადებაში იყო ნათქვამი მნიშვნელოვანია, სამეზობლო სახელმწიფოების პოზიციები იყოს თანხვედრაში, ხოლო საქართველოს მეზობელი ქვეყნებისგან, მიღებული იქნა რწმუნება იმის თაობაზე, რომ ოფიციალური თბილისის პოზიციის გათვალისწინება, რეგიონში მიმდინარე ყველა მოვლენაში მოხდება. მოცემულზე როგორც მინისტრმა განაცხადა, -„მე ამის რწმუნება მივიღე. აბსოლუტურად გაგებით ეკიდებიან ჩვენს პოზიციას, რომ ახლა წარმოუდგენელია საუბარი გაწევრიანებაზე იმ ფორმატში, სადაც მონაწილეობს ქვეყანა, რომელსაც ჩვენი ქვეყნის ტერიტორიები ოკუპირებული აქვს. ამაზე ჩვენი პოზიცია მკაფიოდ დავაფიქსირეთ და გვაქვს ჩვენი სტრატეგიული პარტნიორის გაგება”. (ანკარა გაგებით ეკიდება საქართველოს ფრთხილ პოზიციას 3+3 ფორმატზე , 2021)

აგრეთვე ხაზგასნით აღინიშნა, სახელმწიფოთა თანამშრომლობის აუცილებლობა და მიმდინარე სამხრეთი საგარეო ურთიერთობების დადებითი ფაქტორი, რომელიც ეხება

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის შესახებ არსებულ თანამშრომლობის ფორმატს (აზერბაიჯანი-საქართველო-თურქეთის) და აგრეთვე ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენსა და ბაქო-თბილისი-ყარსის პროექტს.

მოცემული თანამშრომლობა სამთავრობათაშორისო ხელშეკრულებით იქნა დადგენილი, როდესაც ოფიციალურ თბილისსა და ბაქოს შორის 2001 წლის 29 სექტემბერს ხელი მოეწერა, საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკას შორის სამხრეთ-კავკასიური მილსადენის სისტემის მეშვეობით საქართველოს ტერიტორიასა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიებზე და ამ ტერიტორიების ფარგლებს გარეთ ბუნებრივი გაზის ტრანზიტის, მოცემული ფორმირდა "ტრანსპორტირებისა და რეალიზაციის შესახებ ხელშეკრულების" სახით, („სამხრეთ-კავკასიური მილსადენის სისტემის (ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენი)“ პროექტის განვითარების შესახებ, 2001) ხოლო შემდგომ მოხდა მისი რატიფიცირება, როგორც "სამთავრობათაშორისო ხელშეკრულება" და 2001 წლის 19 დეკემბერს რატიფიცირების საშუალებით დამტკიცებული იქნა საქართველოს საკანონმდებლო მიერ. მოცემულით საფუძველი ჩაეყარა „აღმოსავლეთ-დასავლეთის ერთიანი ენერგეტიკული დერეფნის“ ფართომშტაბიან განხორციელების პროცესს, „რომლის საგანგებო კოორდინაციას უშუალოდ ახდენს საქართველოს პრეზიდენტი.“ („სამხრეთ-კავკასიური მილსადენის სისტემის (ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენი)“ პროექტის განვითარების შესახებ, 2001)

ხოლო ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის პროექტის მიერ, ხდება სამხრეთ კავკასიის სარკინიგზო გზების ევროპასთან გაერთიანება თურქეთის გავლით. ბოსფორის სრუტეში გამავალი რკინიგზის მშენებლობის დასრულების შემდეგ საზღვაო გზით გადაზიდვის საჭიროება აღარ იარსებებს. მოცემული მაგისტრალი შეამცირებს ტვირთების გადაზიდვის დროს აზიიდან ევროპისკენ. პერსპექტივაში ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალი გახდება ევროპა-კავკასია-აზიის სარკინიგზო დერეფნის ნაწილი. სხვანაირად ამ პროექტს „აზრეშუმის გზადაც" მოიხსენიებენ. (ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზა, თ. გ.)

ზემოთ მოცემულია სტრატეგიული დონის მქონე სამთავრობო-საგარეო ურთიერთობები, რომელიც ოფიციალური თბილისის მიერ მის მეზობელ სახელმწიფოებთან ინტენსიური თანამშრომლობის გზით წარმართება, რაც უზრუნველყოფს აზიის და ევროპის დაკავშირებისთვის საჭირო პროექტების რეალიზებას, შესაბამისად საქართველოს სახელმწიფოს რეგიონალური თანამშრომლობითი როლი დიდია საერთაშორისო პროექტების განხორციელებასა და სისრულეში მოყვანისთვის.

ამასთანავე 3+3 ფორმატში მონაწილეობის თაობაზე მოცემული პოზიციის მიუხედავად, საქართველოს მთავრობა სანაცვლოდ სხვადასხვა რეგიონალური სამშვიდობო შემოთავაზებებით გამოდის, მოცემულთან მიმართებით ერთ-ერთია, ანკარაში ზემოთ აღნიშნულ იმავე ოფიციალურ ვიზიტზე საგარეო საქმეთა მინისტრის მიერ გამოთქმული ინიციატივა, როდესაც რეგიონში მხარეთათვის სანაცვლოდ, შეთავაზებული იქნა, რომ თბილისი გახდეს ერთგვარი „პლატფორმა“ სადაც მოხდება ბიზნესის, ეკონომიკის, კულტურის და კავკასიის რეგიონში არსებული ხალხთაშორისი ურთიერთობების პროექტებზე მუშაობა და თანამშრომლობა.

მოცემული შემოთავაზებები და ზემოთ განხილული საკითხები, ოფიციალური თბილისის მხრიდან ცალსახად მიმართულია რეგიონალური სამშვიდობო თანამშრომლობის წახალისებისკენ, გარდა ამისა განსაზღვრავს, რომ საქართველოს მიმდინარე ტერიტორიული პრობლემური საკითხებიდან გამომდინარე და ოკუპაციის პირობებში, რთულია რუსეთის ფედერაციასთან ერთად 3+3 პოლიტიკურ პლატფორმაში თანამშრომლობის წარმართვა, ამიტომ საქართველოს სახელმწიფო თავს იკავებს პლატფორმაში ჩართვისგან. აგრეთვე „საქართველო არაა არცერთი ფორმატის წინააღმდეგი, თუ თანამშრომლობა საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებს — სუვერენიტეტის და ტერიტორიული მთლიანობის — პრინციპებს დაეფუძნება. (ანკარა გაგებით ეკიდება საქართველოს ფრთხილ პოზიციას 3+3 ფორმატზე , 2021)

ამასთანავე ოფიციალური თბილისის პოზიციით დეოკუპაციასთან მიმართებით უნდა გადაიდგას კონკრეტული ნაბიჯები, რაც „უნდა გახდეს ხილული და შემდეგ უკვე შესაძლოა ამაზე მსჯელობა. მანამდე გვაქვს შესაძლებლობა, თანამშრომლობა გაგრძელდეს სხვა ფორმებით, თუნდაც დიალოგის ფორმატით, რისთვისაც თბილისს ვთავაზობთ როგორც პლატფორმას. ნებისმიერი ეკონომიკური პროექტები, ბიზნესს შორის ურთიერთობა, ხალხთა შორის ურთიერთობა — შესაძებელია ამის განვითარება“. (ანკარა გაგებით ეკიდება საქართველოს ფრთხილ პოზიციას 3+3 ფორმატზე , 2021)

რაც შეეხება, საქართველოსთან მიმართებით, რეგიონში მყოფ ქვეყნებთან ურთიერთობის ცალკეულ საკითხებს, საქართველოს მის სამხრეთ მდებარე ყველა მეზობელთან გააჩნია მშვიდობიანი საგარეო დიპლომატიური ურთიერთობები, სადაც სომხეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობებით ხასიათდება, ხოლო აზერბაიჯანი და თურქეთი საქართველოს მოკავშირე მეზობლები არიან.

საქართველო და სომხეთი საუკუნეების მანძილზე ცდილობდნენ კეთილმეზობლობის პოლიტიკის ჩამოყალიბებას. გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით იყო მეზობლური კონკურენცია, თუმცა ბოლო ორი ათწლეულის მანძილზე ამ სახელმწიფოების მთავრობებმა გადადგეს ერთობლივი ნაბიჯები, რომ განავითარონ ინიციატივები კულტურულ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ სფეროებში. (Armenian-Georgian Neighborhood: same directions or diverging paths?" -The South Caucasus Regional Office of the Heinrich Boell Foundation. , თ. გ.)

საქართველო და აზერბაიჯანი ინარჩუნებდნენ კეთილმეზობლურ ურთიერთობებს, რომელიც მოიცავს ეკონომიკურ და სხვა სამეზობლო კავშირებს. (Strategic Partnership for Stability in a Volatile Region - SILK ROAD PAPER SILK ROAD PAPER, 2013) ასევე მაგალითად ეკონომიკის ჭრილში აღსანიშნავია, ბაქო-ბათუმის ნავთობ პროდუქტების სადენის მშენებლობა, რომელიც 1897 – 1907 წლებში განხორციელდა. (საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, 2018)

ასევე მეგობრული საგარეო ურთიერთობა ვლინდება ოფიციალურ ანკარასთან სხვადასხვა პოლიტიკურ და ეკონომიკურ საკითხებთან მიმართებით. მაგალითად პოლიტიკურ და ეკონომიკურ თანამშრომლობის დონეზე, საქართველოსა და თურქეთს შორის დადებულია ორი მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომელსაც საფუძვლად უდევს, ეკონომიკურ ურთიერთობებში არსებული თანამშრომლობის ასპექტები, მოცემულ სახელმწიფოთშორის კონტრაქტებს წარმოადგენს: პირველი - „მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ“ არსებული ხელშეკრულება, რომელიც დაიდო 1992 წელს. და მეორე - „ვაჭრობისა და ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ“, არსებული ხელშეკრულება, აღნიშნული კონტრაქტის გაფორმება მოხდა 1992 წელს. გარდა ამისა, შეიქმნა ეკონომიკური ერთობლივი კომისია და თურქეთ-საქართველოს ბიზნეს ასოციაცია. (Turkish-Georgian relations in the context of Turkey’s regional policy at the current stage. Larisa M. Aleksanyan , 2017)

ასევე ზემოთ ვისაუბრეთ მეზობელ სახელმწიფოებთან არსებულ სამმხრივ ფორმატში არსებულ თანამშრომლურ პროექტებზე. (თბილისი-ბაქო-ანკარა). შესაბამისად ოფიციალურ თბილისს მრავალ საერთაშორისო პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ ასპექტში, სამხრეთ მდებარე ყველა მეზობელ ქვეყანასთან კეთილმეზობლური და პოლიტიკურად აქტიური ურთიერთობები გააჩნია. ისევე, როგორც კავკასიის რეგიონის ჩრდილოეთით მცხოვრებ ხალხებთან, რადგან საქართველოს სახელმწიფოს მხრიდან მკაფიოდ არის განსაზღვრული ჩრდილო კავკასიაში მყოფ ხალხთან ურთიერთობების გაღრმავების და განვითარების აუცილებლობა, ასევე საგარეო ურთიერთობის ისე წარმართვა, “რაც გაზრდის მათ ცნობიერებას საქართველოს მიზნებსა და პოლიტიკური კურსის შესახებ, და ხელს შეუწყობს კავკასიაში ნდობის, მშვიდობისა და სტაბილურობის ატმოსფეროს ფორმირებას“. (National Security Concept of Georgia , თ. გ.) საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციით განსაზღვრულია, რომ კავკასიის უნიკალური ბუნებისა და რეგიონის ეკოლოგიური უსაფრთხოების შენარჩუნება, მასთან დაკავშირებულ საკითხებთან ერთად, საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიის ხალხების ერთობლივი ძალისხმევის საგანი უნდა გახდეს: „კავკასია არის საერთო სახლი აქ მცხოვრები ყველა

ინდივიდის და ჯგუფისთვის. საქართველო მხარს უჭერს კავკასიაში არსებული ყველა კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარებას საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესაბამისად.“ (National Security Concept of Georgia , თ. გ.)

2.3. 3+3 პლატფორმა და გეოპოლიტიკური ვითარება რეგიონში: მოკავშირე სახელმწიფოები და სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების ნორმალიზების ბოლოდროინდელი მცდელობები

კავკასიის სტაბილურობის პაქტთან მიმართებით მნიშვნელოვანია, განვიხილოთ უსაფრთხოების სისტემის ფორმირების რაკურსი. რომელიც გეოპოლიტიკური ფაქტორის გათვალისწინებით, კავკასიის რეგიონალურ დონეზე არსებული საერთო პოლიტიკური გამოწვევებით ხასიათდება.

აღსანიშნავია, რომ რეგიონში არსებული ურთიერთობები, გავლენას ახდენს 3+3 პოლიტიკურ პლატფორმაზე, სადაც საგარეო პოლიტიკურ და სამხედრო კავშირებს თავისი როლი ენიჭებათ.

გეოპოლიტიკური ფაქტორის გათვალისწინებით, კავკასიის რეგიონალურ დონეზე მიმდინარე პოლიტიკური გარემოებებიდან აღსანიშნავია, რომ 3+3 პლატფორმის მონაწილეობისთვის განსაზღვრულ რეგიონში მყოფ სახელმწიფოებიდან, აზერბაიჯანი არის თურქეთის უახლოესი პოლიტიკური მოკავშირე, ხოლო საგარეო პოლიტიკური ურთიერთობებით სომხეთი არის რუსეთის ერთ-ერთი მთავარი საერთაშორისო დონის პარტნიორი, მაგრამ რეგიონში სომხეთს - აზერბაიჯანთან კონფლიქტური სამხედრო მოცემულობის გამო დამაბული პოლიტიკური ვითარება გააჩნდა. ორ ქვეყანას შორის უკვე წლებია, რაც დამაბული პოლიტიკური და სამხედრო ურთიერთობა ვლინდება. რეგიონში მიმდინარე მოცემული საგარეო ურთიერთობები, თავის მხრივ ფასილიტაციას ახდენს კავკასიის რეგიონში არსებულ უსაფრთხოების სისტემის ფორმირების შეფერხებაზე. რადგან ბოლო წლებში მიმდინარე სამხედრო ხასიათის მქონე კონფლიქტებმა, რეგიონალური უსაფრთხოების განვითარებაზე უარყოფითი გავლენა იქონია. ასევე ყარაბაღის მეორე ომის შემდეგ, სამხრეთ კავკასიაში შეიცვალა გეოპოლიტიკური სიტუაცია: „საომარ ვითარებათა შედეგების მიხედვით, სომხეთსა და

აზერბაიჯანს შორის ყარაბაღში განახლებულმა ბრძოლამ კრიტიკული გრძელვადიანი გავლენა იქონია მთელს რეგიონზე.“ (Analytical Articles-The Second Karabakh War and Caspian Energy, 2021)

რაც შეეხება ინტერესებს, რომელიც კონფლიქტურ მოვლენებში იკვეთებოდა, ერთის მხრივ მიიჩნევენ, რომ შესაძლოა, მთიან ყარაბაღში დამდგარი შედეგის ახსნისთვის, მიმართული ანალიტიკური სახის მქონე ჩარჩო მიუთითებდეს, ფუნდამენტურ კავშირს: ეთნიკურობას, ტერიტორიის მფლობელობასა და სახელმწიფოებრიობის შორის არსებულ საკითხებზე, (The Second Nagorno-Karabakh War in a Global South Perspective; JASON E. STRAKES, 2021) ასევე თუ მიმდინარე 2020 წლის ვითარებას შევადარებთ ძველ 1994 წლის მოვლენებს, აღსანიშნავია, რომ ყარაბაღის ომი 1994 წელსაც დასრულდა ცეცხლის შეწყვეტის პირობით, თუმცა იმ პერიოდში კონფლიქტის გამარჯვებულ მხარედ სომხური მხარე გამოვლინდა. (Karagiannis, 2011)

რაც შეეხება რეგიონში არსებულ სამხედრო ალიანსებსა და უსაფრთხოების დარგში მოქმედ ბოლოდროინდელ უახლეს მეომორანდუმებს, აღსანიშნავია, რომ 2021 წლის ივნისში, ყარაბაღის ომის შემდეგ, თურქეთის პრეზიდენტის ვიზიტის ფარგლებში, რომელიც სიმბოლურად ქალაქ შუშაში გაიმართა, ხელი მოეწერა ალიანსის შექმნის თაობაზე არსებულ მეომორანდუმს, სადაც საუბარია ორ ქვეყანას შორის სამხედრო ურთიერთობების გაღრმავების შესახებ არსებულ კავშირზე. მოცემული ეხება რამდენიმე სფეროს, ერთობლივ პრესკონფერენციაზე თურქეთის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ მეომორანდუმი მოიცავდა პოლიტიკურ და კომერციულ საკითხებს, ასევე მისი განცხადებით „-მოცემულ დოკუმენტში განსაკუთრებით ხაზგასმულია ჩვენი თანამშრომლობა თავდაცვის ინდუსტრიაში, ისევე როგორც ორმხრივი სამხედრო დახმარება“, ასევე ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჯერჯერობით ყველა საკითხში თურქეთი და აზერბაიჯანი ერთად დგანან.“ (Erdogan visits Azerbaijan's liberated Shusha, 2021)

ამასათანავე აღსანიშნავია, რომ 3+3 პოლიტიკურ ფორმატში შემავალ რუსეთის ფედერაციას და სომხეთს გააჩნიათ მჭიდრო სამხედრო და პოლიტიკური კავშირი. აგრეთვე მნიშვნელოვანია, რეგიონში არსებული სახელმწიფოთშორის დონის

უსაფრთხოების შინაარსის მქონე საკითხები, რომელიც გავლენას ახდენს კავკასიის რეგიონალური უსაფრთხოების სისტემის ფორმირებაზე, სომხეთს გააჩნდა დაძაბული ურთიერთობა მეზობელ სახელმწიფოებთან, აგრეთვე მისი ჩაკეტილი გეოგრაფიული სიტუაციის და აზერბაიჯან-თურქეთთან უთანხმოების გათვალისწინებით, სომხეთი რამდენიმე მეგობარზეა დამოკიდებული, მათ შორის რუსეთზე, ირანზე და საქართველოზე. (Weaver, 2013)

აგრეთვე, რეგიონში მას ზღვაზე გასასვლელი არ გააჩნია, რაც თავის მხრივ არ წარმოადგენს გეოპოლიტიკურ პრიორიტეტს, ისევე, როგორც შეზღუდულია პირდაპირი და უშუალო სასაზღვრო გეოგრაფიული მეზობლობით მის ყველაზე მთავარ და სტრატეგიული სახის მქონე პოლიტიკურ მოკავშირე რუსეთთან. მოცემული, რა თქმა უნდა, საერთაშორისო პოლიტიკურ საკითხებთან მიმართებით ბარიერს ქმნის. რადგან, საერთო საზღვარის არ ქონა რუსეთთან, რომელთანაც მას აკავშირებს მეტად მჭიდრო და სანდო პოლიტიკური ურთიერთობა დისკომფორტულია. უსაფრთხოების დარგში, სომხეთი გაწევრიანებულია რუსულ სამხედრო ტიპის თანამშრომლურ ორგანიზაციაში. მოცემული თავის მხრივ, დაკავშირებულია კავკასიის რეგიონალურ სივრცეში მომუშავე უსაფრთხოების თემატიკასთან, რადგან „კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის“ სამხედრო ბლოკი, თავისი იურიდიული დებულებებით ოფიციალურად განსაზღვრავს, რუსეთის ფედერაციის ქვეშ დაქვემდებარებულ სამხედრო გაერთიანების მუშაობის სპეციფიკას.

რუსეთის ფედერაციის ხელმძღვანელობის ქვეშ არსებული კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციასთან დაკავშირებით, რომელსაც კავკასიის რეგიონში მყოფი სახელმწიფოც უერთდება, საინტერესოა მისი მოქმედების არეალი, რადგან მას გარკვეული დონის გავრცელება გააჩნია კავკასიის რეგიონშიც.

კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაცია - The Collective Security Treaty Organization (CSTO). რომელიც ევრაზიაში წარმოადგენს მთავრობათაშორის

სამხედრო ალიანსს. „ხელი მოეწერა 1992 წლის 15 მაისს, ხუთწლიანი ვადით, შემდგომი გაგრძელების შესაძლებლობით.“ (Basic facts -The Collective Security Treaty (CST) , n.d.)

ის ასევე მოიხსენიება როგორც ტაშკენტის პაქტი ან ტაშკენტის ხელშეკრულება. შედგებოდა ექვსი ქვეყნისგან - რუსეთი; სომხეთი; ყაზახეთი; ყირგიზეთი; ტაჯიკეთი და უზბეკეთი. ხელშეკრულება სათავეს იღებს საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალებში, რომელიც თანდათან დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის, გაერთიანებულმა შეიარაღებულმა ძალებმა შეცვალა. (Collective Security Treaty Organization; From Wikipedia, the free encyclopedia, n.d.) სხვა პოსტსაბჭოთა სახელმწიფოთა შორის, სამი ქვეყნის - საქართველო, ბელორუსი და აზერბაიჯანის მხრიდან 1993 წელს ხელი მოეწერა და 1994 წელს ძალაში შევიდა მოცემული კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულება. 1999 წელს ცხრიდან ექვსი სახელმწიფოს მხრიდან, (ყველას გარდა საქართველოს, აზერბაიჯანის და უზბეკეთისა), ხელშეკრულების თაობაზე მოხდა კიდევ ხუთი წლით განახლების თაობაზე ხელმოწერითი თანხმობის დაფიქსირება, ხოლო 2002 წელს ზემოთ მოცემული ექვსი სახელმწიფოს მიერ, მოხდა კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის ფორმირების თაობაზე შეთანხმება,

„კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაცია“ (CSTO), საქმიანობის განსაზღვრას მისი საკონტრაქტო დებულებების თანახმად ახდენს. აგრეთვე უსაფრთხოების ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოებისათვის განსაზღვრავს კოალიციის ძირითად სტრატეგიულ საკითხებს და განმარტავს, რომ CSTO -ის ორგანიზაციის ხელშეკრულების მიხედვით, პაქტის მონაწილე ქვეყნების უსაფრთხოების შენარჩუნება, კოლექტიური საფუძველით ხდება.

2004 წლის 2 დეკემბერს, გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია, რათა “კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციისთვის”, დამკვირვებლის სტატუსი მიენიჭებინათ - გაეროს გენერალურ ასამბლეაში. ხელშეკრულების თანახმად, წევრი ქვეყნები უსაფრთხოებას კოლექტიურ საფუძველზე ინარჩუნებენ. ხელშეკრულების მე-2 მუხლი აცხადებს, რომ ერთი ან რამდენიმე წევრი სახელმწიფოს უსაფრთხოების,

ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის საფრთხის ან საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების საფრთხის შემთხვევაში, წვერი სახელმწიფოები კოორდინაციის მიზნით. დაუყოვნებლივ ამოქმედებენ ერთობლივი კონსულტაციების მექანიზმს, მათ პოზიციებს და მიიღებენ წარმოქმნილი საფრთხის აღმოსაფხვრელად საჭირო ზომებს. (Basic facts -The Collective Security Treaty (CST) , n.d.)

უსაფრთხოების ხელშეკრულების მე-11 მუხლი განსაზღვრავს ორგანიზაციის სამუშაო ორგანოებს: კოლექტიური უსაფრთხოების საბჭო; საგარეო საქმეთა მინისტრთა საბჭო; თავდაცვის მინისტრთა საბჭო; უშიშროების საბჭოების მდივნების კომიტეტი. ორგანიზაციის სამდივნო არის ორგანიზაციის ორგანო, რომელიც მუდმივად ფუნქციონირებს. მოცემულის მიხედვით რეგულირდება ზემოაღნიშნული ორგანოების ფუნქციები და მუშაობის წესი, რომელსაც წესდებით და ასევე ცალკეული დებულებებით ადასტურებს საბჭო. (Basic facts -The Collective Security Treaty (CST) , n.d.)

კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაცია (CSTO)', ოფიციალური კონტრაქტის დებულებით განმარტავს, რომ აგრესიულ ქმედებათა განხორციელებისას, რომელიც მიმართული იქნება კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციაში შემავალ სახელმწიფოთა წინააღმდეგ, CSTO-ის პაქტში მონაწილე ყველა სხვა წვერი სახელმწიფო, საგარეო აგრესიის შემთხვევაში მას გაუწევენ, კოორდინირებულ სამხედრო თუ სხვა ტიპის საჭირო პოლიტიკურ დახმარებას.

რუსეთის ფედერაციის ოფიციალურ ვებ გვერდზე განთავსებული განმარტების მიხედვით, კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაცია (CSTO), მიზნად ისახავს, ახალი გამოწვევების თუ საფრთხეების თავიდან აცილებას, ამასთანავე რეგიონალური და საერთაშორისო უსაფრთხოებისთვის საჭირო მექანიზმების შემუშავებას. ასევე CSTO -ის ორგანიზაციაში „შემავალ სახელმწიფოების უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის, მიღებული იქნა კოლექტიური უსაფრთხოების სისტემის ძალებისა და იარაღის გამოყენების შესახებ კოლექტიური გადაწყვეტილებების ადაპტაციისა და

განხორციელების დებულების განსაზღვრა.“ (Basic facts -The Collective Security Treaty (CST) , n.d.)

აგრეთვე აღსანიშნავია, რომ სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზე მყოფ სომხეთის სახელმწიფოში განთავსებულია რამდენიმე რუსული სამხედრო ბაზა, სადაც ქვეყნის საზღვრის კონტროლს ისინი რუსულ სამხედრო წარმომადგენლებთან ერთად ერთობლივად ახორციელებენ. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ბევრ სხვა პოსტსაბჭოთა სახელმწიფოსგან განსხვავებით, სომხეთმა არ გაიყვანა მისი ტერიტორიიდან რუსული ჯარები, აგრეთვე დაამყარა მეგობრული და მოკავშირეობრივი სახის ურთიერთობა რუსეთთან. (Russia’s Increasing Military Presence in Armenia; 2021)ამასთანავე სომხეთსა და რუსეთს შორის არსებობს ხელშეკრულება, რომელიც ადგენს, რომ სამხედრო ბაზა განთავსდება გიუმრიში, 1995-დან 2044 წლამდე. (Weaver, 2013)

